ახალი განათლება

16-24.01.2016

№1 (795) გაგრძელება 1998 წლიდან

www.axaliganatleba.ge

რეფორმირებული სისტემის მთავარი ორიენტირები

გვერდი 4

მართლმსაჯულება ყველა ბავშვისთვის

„ წიგნის თარო“ გთავაზობთ „ინტელექტისა“ და „არტანუჯის“ მიერ მომზადებულ კრებულებს

გავიმეოროთ მათემატიკა

წიგნი დაწერილია აბიტურიენტებისა და მასწავლებლებისთვის. იგი ძირითად სახელმძღვანელოებში მოცემულ მასალაზეა აგებული, თუმცა შევსებულია ამოცანებით. მასალა დალაგებულია პროგრამის მიხედვით და გადმოცემულია გეომეტრიის, ანალიზის, ალგებრის და სტატისტიკის საკითხები.

ფასი – 19 ლარი (ერთი ცალი)

ეროვნული გამოცდების სიმულაცია ისტორიაში

გიორგი მეჭურჭლიშვილი, არჩილ თაბუკაშვილი, კონსტანტინე ბარამია

ეროვნული გამოცდების სრული სტანდარტის დაცვით შედგენილი ტესტები აბიტურიენტს საშუალებას აძლევს, გამოცდაზე გასვლამდე, გაიაროს ეროვნული გამოცდების სიმულაცია, ანუ შეძლოს ზუსტად იმ ტიპისა და სირთულის დავალებების შესრულება, როგორიც ეროვნულ გამოცდებზეა. სახელმძღვანელოში განთავსებულია ავტორთა ჯგუფის მიერ შედგენილი უნიკალური რუკები, რომელთა გამოყენება შესაძლებელია არა მარტო ეროვნული გამოცდებისთვის მოსამზადებლად, არამედ საგაკვეთილო პროცესისას კონკრეტული ისტორიული ეპოქის გასააზრებლადაც.

ფასი – 15 ლარი

სკოლის თვითშეფასება განვითარებისთვის

საპილოტე მოდელის გამოწვევები და რისკები

გვერდი 2

იუბილე

ქალაქ ბოლნისის პირველი საჯარო სკოლა 75 წლისაა

გვერდი 6

სამოდელო გაკვეთილი

ქიმიის და ბიოლოგიის ინტეგრირებული გაკვეთილი

გვერდი 8

სკოლის თვითშეფასება განვითარებისთვის

საპილოტე მოდელის გამოწვევები და რისკები

ლალი ჯელაძე

პროექტის „სკოლის თვითშეფასება განვითარებისთვის“ ფარგლებში, სკოლის დირექტორებისა და პროექტში ჩართული განათლების სპეციალისტების მონაწილეობით, პირველი შემაჯამებელი შეხვედრა გაიმართა. პროექტის „სკოლის თვითშეფასება განვითარებისთვის“ მიზანია ქართული სკოლებისთვის თვითშეფასებისა და განვითარების სისტემის მოდელების შემუშავება, საბუნებისმეტყველო საგნებსა და მათემატიკაში სწავლა-სწავლების ხარისხის გაუმჯობესებისთვის. პროექტში 15 სკოლაა ჩართული და სამ ეტაპად ხორციელდება. პირველი ეტაპი მოიცავდა მოწვეული ექსპერტების მიერ ორგანიზებულ სამუშაო შეხვედრებსა და სასწავლო ტურებს დანიაში, გერმანიასა და ჰოლანდიაში. მეორე ეტაპი – სკოლის საჭიროებებზე მორგებული შეფასებებისა და განვითარების მოდელების შემუშავებასა და პილოტირებას. ბოლო ეტაპი კი კვლევას, მიღებული ცოდნისა და გამოცდილების გაზიარებას ითვალისწინებს.

„განათლების ხარისხის განვითარებისთვის ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს სკოლის როგორც შიდა, ასევე გარე შეფასების სისტემების აწყობას. დღეს საზოგადოება ზოგად განათლებას სუბიექტური გამოცდილებით და სუბიექტური მოლოდინების შესაბამისად აფასებს. წლების განმავლობაში, სხვადასხვა პროექტების ფარგლებში, ვითარდებოდა სკოლის შიდა და გარე შეფასების სისტემები. ამ ეტაპზე, უფრო მწყობრ სისტემაზე გადავდივართ. ჩვენმა სკოლის დირექტორებმა ძალიან მნიშვნელოვანი გამოცდილება შეიძინეს სხვადასხვა ქვეყნებში, დააკვირდნენ არსებულ მოდელებს, გააანალიზეს, როგორ შეიძლება მათი გადმოტანა ჩვენს რეალობაში და ქართული სკოლის სინამდვილეში და, რაც ყველაზე მთავარია, შეიმუშავეს საკუთარ სკოლებში, სკოლის შიდა შეფასების სისტემები, სკოლის განვითარებისა და განათლების ხარისხის გაუმჯობესებისთვის“, – განაცხადა განათლების მინისტრის მოადგილე **ლია გიგაურმა**.

„სკოლის თვითშეფასება განვითარებისთვის“ სამწლიანი პროექტია, რომელსაც შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი, „ათასწლეულის გამოწვევის ფონდი – საქართველოსა“ და „ათასწლეულის გამოწვევის კორპორაციის“ ფინანსური მხარდაჭერით, ახორციელებს.

შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის დირექტორისთვის, **მაია მიმინოშვილისთვის** პროექტი იმ თვალსაზრისითაა საინტერესო, რომ: *„ის არ გულისხმობს კონკრეტული ორგანიზაციის, მაგალითად, შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის ან რომელიმე ექსპერტთა ჯგუფის მომზადებას იმისთვის, რომ სკოლებისთვის შეიმუშაონ ეფექტური მოდელი. ეს პროექტი გულისხმობს მონაწილე სკოლების მომზადებას იმისთვის, რომ თვითონ მოარგონ კონკრეტული შეფასების მოდელი საკუთარ სკოლას, რომელიც ითვალისწინებს, ბუნებრივია, ამ სკოლის საჭიროებებს, სპეციფიკას.“*

შეხვედრა ორი ძირითადი მიმართულებით წარიმართა: დირექტორებმა, რომლებიც პროექტის ფარგლებში საერთაშორისო გამოცდილებას გაეცნენ (გერმანიაში, ჰოლანდიასა და დანიაში), ისაუბრეს სკოლის შიდა შეფასებისა და განვითარების სისტემებზე, დისკუსია გაიმართა საქართველოს სკოლებში არსებულ გამოწვევებსა და შესაძლებლობებზე.

სსიპ გალაკტიონ ტაბიძის სახელობის ხაშურის №6 საჯარო სკოლის დირექტორი **თამარ ხადური** იმ 15 დირექტორიდან ერთ-ერთია, ვინც შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ „სკოლის შეფასებისა და განვითარების“ პროექტის ფარგლებში გამოცხადებული ორეტაპიანი შესარჩევი კონკურსის გავლის შემდეგ, გახდა „სკოლის შეფასებისა და განვითარების“ საბჭოს წევრი (საბჭოს წევრები სკოლის დირექტორები და სამინისტროს სტრუქტურების წარმომადგენლები არიან). *„საბჭოს ამოცანაა, შევიმუშაოთ შიდა შეფასებისა და განვითარების მოდელები, გამოვცადოთ საკუთარ სკოლებში, გავაანალიზოთ პროცესი და შედეგები, მოვამზადოთ რეკომენდაციები სხვა სკოლებისთვის და პოლიტიკის მიმღებთათვის. პროექტის მეორე ეტაპი სწორედ სკოლის საჭიროებებზე მორგებული შეფასებისა და განვითარების მოდელების შემუშავებასა და პილოტირებას ითვალისწინებს.* – ამბობს **ხათუნა ხადური**, – *პროექტის ფარგლებში, სასწავლო ტურით ვიმყოფებოდი დანიაში, ქალაქ ორჰუსში. ძალიან მომხიბლა დანიის განათლების სისტემამ, რომელიც დამოუკიდებელი პიროვნების აღზრდისკენაა მიმართული. დანია, განათლების დონით, მსოფლიო რეიტინგების ათეულშია შესული. თვალშისაცემია სკოლების გამართული ინფრასტრუქტურა, რესურსების მრავალფეროვნება და სიმრავლე. კეთილმოწყობილი თავისუფალი სივრცეები სკოლებში. იქ მნიშვნელოვანია მოსწავლის კეთილდღეობა. დანიას სკოლების შიდა და გარე შეფასების საინტერესო და მარტივი მოდელები აქვს. ექსპერტები, საჭიროების შემთხვევაში, უწევენ სკოლებს დახმარებას და აძლევენ რეკომენდაციებს.“*

ამჟამად კი პროექტის ფარლებში მიმდინარეობს სკოლის თვითშეფასების ქართული ექსპერიმენტული მოდელის შემუშავება, რომელშიც გათვალისწინებულია სოფლის მცირეკონტინგენტიანი, ქალაქის დიდი და ურბანული ტიპის სკოლების სპეციფიკა, მათი მსგავსება და განსხვავებები. თუმცა, რადგან ჯერ არ არის დამთავრებული აღნიშნული პროცესი, სკოლის დირექტორი დეტალებზე საუბრისგან თავს იკავებს. ამბობს, რომ საქართველოში სკოლების თვითშეფასების მოდელის შემუშავებასთან დაკავშირებით, გარკვეული რისკები არსებობს, რაც გამოწვეულია მსგავსი გამოცდილების არქონის, კომპეტენტური ადამიანების სიმცირისა თუ სხვა ფაქტორების გამო. მაგრამ მიიჩნევს, რომ ეს ყველაფერი დაძლევადია უცხოური გამოცდილების გაზიარებით: *„ჰოლანდიელმა და გერმანელმა ექსპერტებმა ვორქშოპებზე გაგვიზიარეს თავიანთი გამოცდილება, რომელსაც ქართული მოდელების ასაგებად ვიყენებთ“* – გვითხრა **თამარ ხადურმა**.

თბილისის 175-ე სკოლის დირექტორი **თინათინ ალავიძე** ამბობს, რომ სკოლები განსხვავებული კულტურის მატარებლები არიან, ამიტომ ძალიან მნიშვნელოვანია, რომ მათ ჰქონდეთ ისეთი მოქნილი ინსტრუმენტები და მოდელები, რომელსაც საკუთარ საჭიროებებს მოარგებენ და შეძლებენ თვითშეფასებას. მისი აზრით, სკოლის შიდა შეფასების დაგეგმვისა და განხორციელების პროცესში სასკოლო საზოგადოების ჩართულობა და ამ პროცესებში თანამონაწილეობა ამაღლებს სკოლის პასუხისმგებლობას და უფრო ეფექტურს ხდის პროექტის მიმდინარეობას. პროექტის ფარგლებში, განვითარებული ქვეყნების შიდა და გარე შეფასების სისტემების დაკვირვების შესაძლებლობამ კი უფრო მეტად დააფიქრა ქართველი დირექტორები იმ გამოწვევებზე, რაც ჩვენი განათლების სისტემის წინაშე დგას.

„ჩვენი მუშაობა ძირითადად კვლევაზეა დაფუძნებული. საკვლევ საკითხად ავიღეთ STEM საგნებში სწავლა-სწავლების ხარისხის ამაღლებისთვის განმავითარებელი შეფასების ეფექტურობა. სასწავლო პროცესში განმავითარებელი შეფასების გამოყენება მნიშვნელოვანია როგორც მოსწავლისთვის, ასევე მასწავლებლისთვის. დროული და კარგი განმავითარებელი შეფასებით, მოსწავლე გეგმავს მიღწეული შედეგის გაუმჯობესების გზებს, მასწავლებელი კი – საკუთარი პრაქტიკის გაუმჯობესების გზებს.

სკოლის მასწავლებლებისგან შეიქმნა ხარისხის და ინტერვენციის ჯგუფები, შემუშავდა კვლევის გეგმა, საკვლევი ინსტრუმენტები, განისაზღვრა ბენეფიციარები. ამ ეტაპზე მიმდინარეობს მონაცემთა დამუშავება, რის საფუძველზეც გამოიკვეთება ძლიერი და სუსტი მხარეები და განხორციელდება ინტერვენციები.

დავადგენთ განმავითარებელი შეფასების ეფექტიანი გამოყენებისთვის მასწავლებელთა პროფესიული განვითარების საჭიროებებს. მასწავლებლები გაეცნობიან განმავითარებელი შეფასების განხორციელების სტრატეგიებსა და მეთოდებს. პედაგოგებისთვის შემუშავდება რეკომენდაციები, რაც სამუშაო პროცესს და შეფასების სისტემას უფრო ეფექტურს გახდის“ – ამბობს თინათინ ალავიძე.

ახალციხის მუნიციპალიტეტის ქალაქ ვალეს №2 საჯარო სკოლის დირექტორი **გვანცა გოგოლაძე** ამბობს, რომ ყველა საჯარო სკოლას დაეგზავნა წერილი, პროექტის „სკოლის თვითშეფასება განვითარებისათვის“ ფარგლებში, თანამშრომლობის შეთავაზებით. *„გასაუბრების შემდეგ მოვხვდი პროექტის საბჭოს შემადგენლობაში. ეს იყო ერთ-ერთი ყველაზე განსხვავებული ტიპის გასაუბრება, რაც კი ოდესმე გამივლია, 3-ეტაპიანი და როგორც ინდივიდუალური, ისე ჯგუფური გასაუბრების ელემენტებით დატვირთული. პროექტი ითვალისწინებდა სხვადასხვა ტიპის სკოლების შერჩევას (დედაქალაქის, ქალაქის, სოფლის, ეთნიკური უმცირესობებით დაკომპლექტებულის და ა.შ.), რათა ადგილობრივი და უცხოელი კონსულტანტების დახმარებით, სკოლის განვითარებისათვის შემუშავებული შეფასების სისტემების სხვადასხვა მოდელის განზოგადება სკოლების მაქსიმალურად ფართო სპექტრზე მომხდარიყო“* – გვიამბობს **გვანცა გოგოლაძე**.

სკოლის დირექტორი, რომელიც პროექტში ქალაქის მცირეკონტინგენტიანი საჯარო სკოლის სტატუსით ჩაერთო, ამბობს, რომ პროექტის ფარგლებში, ძალიან მნიშვნელოვანი შესაბამისი სასწავლო ღონისძიებები გაიარეს: ტრენინგები, კოლეგების გამოცდილების გაზიარება, სასწავლო ტურები ევროპის წამყვან ქვეყნებში და სწორედ მიღებული ცოდნის საფუძველზე და, რა თქმა უნდა, კოლექტივთან შეთანხმებით შეარჩიეს საკვლევი მიმართულება – საწყის ეტაპზე ფოკუსირება STEM საგნებზე. *„ამჟამად კვლევას აღნიშნული მიმართულებით ვახორციელებთ და, სასწავლო წლის ბოლოსთვის, ვგეგმავთ ე.წ. შეფასების სისტემის საპილოტე მოდელის შემუშავებას, რომელიც ჩვენი სკოლის შემთხვევაში, ჯერ მხოლოდ კონკრეტულ საგნებში (მათემატიკა, ფიზიკა, ქიმია, ბიოლოგია, ინგლისური) და კონკრეტულ კლასებში (VII, VIII, IX, X, XI), „განმსაზღვრელი შეფასების კომპონენტების შიდა და გარე თავსებადობაზე“ იქნება მიმართული. საწყის ეტაპზე, სკოლისთვის ყველაზე აქტუალურ, თვალსაჩინო და პრობლემურ საკითხზე შევჯერდით, თუმცა, მომავალი სასწავლო წლიდან, ვფიქრობთ, მეტი გამოცდილება გვექნება სკოლის საჭიროებების უფრო ფართო სპექტრზე მორგებული შეფასების მოდელზე სამუშაოდ. მნიშვნელოვანია, რომ მოდელების პილოტირებისა და დანერგვის პროცესში პროექტის საბჭოს წევრები, რეგულარული შეხვედრებისას, განვიხილავთ მათ, ვაფასებთ და, საჭიროების შემთხვევაში, შეგვაქვს ცვლილებები. მიმდინარე წლის თებერვალ-მარტში ველოდებით უცხოელი კონსულტანტების ვიზიტებს სკოლებში, ადგილზე კომპეტენტური რჩევებისა და კონკრეტული რეკომენდაციების მისაღებად,“* – ამბობს გვანცა გოგოლაძე.

რაც შეეხება სასწავლო ტურს, რომელიც დანიის საგანმანათლებლო სისტემის გაცნობას ემსახურებოდა, ვალეს №2 საჯარო სკოლის დირექტორი ამ შესაძლებლობისთვის დიდ მადლობას უხდის შეფასებისა და გამოცდების ეროვნულ ცენტრს, „ათასწლეულის გამოწვევის ფონდ საქართველოს“ და ათასწლეულის გამოწვევის კორპორაციას. ამბობს, რომ: *„მარტივმა და ამავდროულად ეფექტურმა გარე და შიდა შეფასების სასკოლო სისტემამ ტურის ყველა მონაწილე მოგვხიბლა ანგარიშვალდებულებაზე დაფუძნებული გამართული საგანმანათლებლო სისტემით, რომელიც პასუხისმგებელია ქვეყანაში განათლებული და დამოუკიდებელი პიროვნების ღირსეულ აღზრდაზე. სკოლები, სადაც, მოსწავლეების შესაძლებლობებიდან და ინტერესებიდან/სურვილებიდან გამომდინარე, დიფერენცირებული სწავლება მიმდინარეობს და მერვე კლასამდე მიმდინარე შეფასება არ არსებობს. ხოლო სკოლები, სადაც მეცხრე კლასის შედეგები განსაზღვრავს მოსწავლის პროფესიული თუ უმაღლესი განათლების მიმართულებით სწავლის გაგრძელების შესაძლებლობას, მთლიანად ცენტრალიზებული საგამოცდო სისტემით ფასდება. სკოლით კმაყოფილებაც კი მასწავლებლებში, მოსწავლეებსა და მშობლებში ცენტრალიზებული გზით მომზადებული და მოწოდებული კითხვარებით იზომება. ქვეყნის თითოეული საჯარო სკოლა, აღნიშნული ინსტრუმენტების გამოყენებით, მუდმივად ფლობს ობიექტურ ინფორმაციას სკოლაში მიმდინარე საგანმანათლებლო თუ სააღმზრდელო საქმიანობის ეფექტურობის შესახებ და, საჭიროების შემთხვევაშიც (პრობლემის გამოვლენა), ასევე მუნიციპალურ დონეზე, გარე კონსულტანტების დახმარებით, გეგმავს და ახორციელებს ინტერვენციებს.“*

10 იანვრის შემაჯამებელ შეხვედრაზე სამი სხვადასხვა ქვეყნის სასკოლო ტურის მონაწილეებმა გერმანიის, ჰოლანდიისა და დანიის საგანმანათლებლო სკოლების გარე და შიდა შეფასების სისტემების შესახებ ინფორმაცია გაუზიარეს ერთმანეთს და იმ სტრუქტურებს, რომლებიც უშუალო კავშირში არიან ქართულ რეალობაში სკოლების გამართულ ფუნქციონირებასთან. პროექტის მონაწილე სკოლის დირექტორების პრეზენტაციებში, საკუთარ სკოლებში მიმდინარე თვითშეფასების საპილოტე ვერსიების შესახებ, ერთმნიშვნელოვნად გამოიკვეთა ის ძირითადი გამოწვევები და რისკები, რომლებსაც სკოლები სისტემის დანერგვის პროცესში ხვდებიან. *„სკოლებს გვჭირდება სტრუქტურულად გამართული და ვალიდური ინსტრუმენტები კვლევებში გამოსაყენებლად (სასურველია ცენტრალიზებული გზით მომზადებულ/მოწოდებული), კომპეტენტური საკონსულტაციო ჯგუფი, საწყის ეტაპზე მაინც, სწორი მიმართულებებისა და ინტერვენციების დასაგეგმად და, რაც მთავარია, სასკოლო კულტურა და მზაობა ობიექტური თვითშეფასების განსახორციელებლად, კომპეტენცია და შიდა და გარე მოტივაცია ამ ყველაფრის გასაკეთებლად.“* – ამბობს **გვანცა გოგოლაძე**.

ახალი ამბები

სათავგადასავლო ტურიზმის სკოლა

გუდაურში სათავგადასავლო ტურიზმის სკოლის საწვრთნელი ცენტრი ოფიციალურად გაიხსნა.

სათავგადასავლო ტურიზმის სკოლაში დაინერგა ახალი პროფესიული და სასერტიფიკატო პროგრამები, რომლებიც შემუშავებულია, შვეიცარიელ და გერმანელ ექსპერტებთან თანამშრომლობით და შეესაბამება საერთაშორისო სტანდარტებს.

სათავგადასავლო ტურიზმის სკოლა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს და მთის კურორტების განვითარების კომპანიის ერთობლივი პროექტია. სკოლამ ახალი პროგრამების შესამუშავებლად ნახევარ მილიონ დოლარზე მეტი დაფინანსება აშშ-ის მთავრობის ათასწლეულის გამოწვევის კორპორაციის საგრანტო პროგრამის ფარგლებში მიიღო.

მაგდა მაღრაძე, ათასწლეულის გამოწვევის ფონდის აღმასრულებელი დირექტორი: *„სათავგადასავლო ტურიზმის სკოლაში დაინერგა ახალი პროფესიული პროგრამები – საფეხმავლო და სამთო გამყოლი და ასევე სასერტიფიკატო პროგრამები, როგორიცაა თხილამურების ინსტრუქტორი. ყველა პროგრამა შეიქმნა საერთაშორისო პარტნიორებთან თანამშრომლობით. ბოლო ერთი წლის განმავლობაში აქტიურად მიდიოდა მუშაობა შვეიცარიელ და გერმანელ ექსპერტებთან, რათა ახალი პროგრამები საერთაშორისო სტანდარტების და მოთხოვნების შესაბამისი ყოფილიყო.“*

საწვრთნელი ბაზის გახსნას დაესწრნენ საქართველოს ვიცე-პრემიერი, ეკონომიკის მინისტრი **დიმიტრი ქუმსიშვილი**, საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოს მდივანი, საქართველოს სამთო გამყოლთა ასოციაციის პრეზიდენტი **დავით რაქვიაშვილი**, განათლების მინისტრის პირველი მოადგილე **ქეთევან ნატრიაშვილი**, მთის კურორტების განვითარების კომპანიის დირექტორი **სანდრო ონოფრიშვილი**, სათავგადასავლო ტურიზმის სკოლის კონსორციუმის პარტნიორები და სტუდენტები.

სტუმრებმა დაათვალიერეს სკოლის შენობა, რომელიც მსგავს სასწავლებლებს შორის მსოფლიოში ყველაზე მაღალ ნიშნულზე – 2800 მეტრ სიმაღლეზე მდებარეობს.

გუდაურის სასწავლო ბაზაზე სტუდენტები, პრაქტიკული სწავლების დროს, შეძლებენ ცხოვრებას და თეორიული სწავლების გავლას. სასწავლო ბაზა, ერთდროულად, 30 სტუდენტის მიღებას შეძლებს. სკოლაში უკვე სწავლობენ სტუდენტები როგორც თბილისიდან, ისე საქართველოს მაღალმთიანი რეგიონებიდან.

„2800 მეტრის სიმაღლეზე ოფიციალურად გაიხსნა სათავგადასავლო ტურიზმის სკოლა. ძალიან მნიშვნელოვანია მისი გახსნა, რადგან ამ სკოლაში სწორედ იმ პროფესიის ადამიანები მომზადდებიან, რომელთა დასაქმებაც პრაქტიკულად გარანტირებულია და ვინც ჩვენს ქვეყანას ტურიზმის განვითარების მიმართულებით ძალიან სჭირდება“, – განაცხადა პირველმა ვიცე-პრემიერმა, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრმა **დიმიტრი ქუმსიშვილმა** გუდაურში, სათავგადასავლო ტურიზმის სკოლის ოფიციალურ გახსნაზე.

ქეთევან ნატრიაშვილი, განათლებისა და მეცნიერების მინისტრის პირველი მოადგილე: *„საჯარო და კერძო სექტორების პარტნიორობით, დაფუძნებულია სათავგადასავლო ტურიზმის სკოლა, რომელიც, საერთაშორისო სტანდარტების შესაფერისად, დაინტერესებულ პირებს სთავაზობს თანამედროვე პროფესიებს ამ მიმართულებით. ეს უახლესი პროგრამები შემუშავებულია ათასწლეულის გამოწვევის კორპორაციის მხარდაჭერით. მნიშვნელოვანია, რომ ეს ბაზა შეძლებს უმასპინძლოს სტუდენტებს სხვადასხვა რეგიონებიდან. რაც შეეხება სასწავლო პრაქტიკას, მიმდინარეობს არა მხოლოდ გუდაურში, არამედ სხვა სამთო კურორტებზეც.“*

სათავგადასავლო ტურიზმის სკოლის აკადემიური ხელმძღვანელი **არჩილ ცინცაძე** ამბობს, რომ პირველ რიგში, რა თქმა უნდა, ყურადღება მიექცევა სტუმრების უსაფრთხოებაზე. *„სკოლის გახსნა ხელს შეუწყობს ადგილობრივი მოსახლეობის დასაქმებას, სწავლას. ეს ეხება როგორც სვანეთის, ასევე ხევსურეთის და მთელი საქართველოს მთიან რეგიონებს.“*

სათავგადასავლო ტურიზმის სკოლა მიზნად ისახავს სათავგადასავლო ტურიზმის სფეროში და სხვა მასთან დაკავშირებული მაღალი რისკის აქტივობებში ჩართული კადრების (საფეხმავლო, ალპური, სათხილამურო და სამთო გამყოლების, სამთო სპორტის სახეობებისა და სათავგადასავლო აქტივობების ინსტრუქტორების) პროფესიულ მომზადებას, ისეთი სისტემის შექმნას, რომელიც გაზრდის საქართველოში უსაფრთხოებას.

კონკურსი უფროსკლასელთათვის

კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო და საქართველოს ტრადიციული რეწვის ასოციაცია, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროების, გაზეთის „ახალი განათლება“ და სხვა პარტნიორი ორგანიზაციების მხარდაჭერით, აცხადებს კონკურსს თემაზე:

„ტრადიციული სათამაშოები“

კონკურსის მიზანია:

• გამოავლინოს დღემდე, უხუცესების მეხსიერებაში შემონახული სხვადასხვა კუთხის ხელნაკეთი სათამაშოების დამზადების ტექნოლოგია;

• გაზარდოს საზოგადოების, განსაკუთრებით ახალგაზრდების ინტერესი მათი კუთხის არამატერიალური მემკვიდრეობის მიმართ;

• შექმნას განსხვავებული, შემოქმედებითი პლატფორმა სხვადასხვა ქვეყნების მოზარდების დამეგობრებისათვის;

• გაუღვივოს ახალგაზრდა თაობას ინტერესი წინაპრების კულტურისა და შემოქმედებისადმი;

• დაეხმაროს ახალგაზრდებს სხვა კულტურების გაცნობაში და ჩამოუყალიბოს მათდამი პატივისცემის გრძნობა.

კონკურსი მოეწყობა ორ ტურად:

პირველი ტური გულისხმობს სკოლაში, მოსწავლეთა ნამუშევრების პირველად სელექციას, რომელიც სკოლის ადმინისტრაციის მიერ, საკონკურსო პირობების ყველა ნორმის დაცვით იქნება შერჩეული და გადმოგზავნილი მითითებულ ელმისამართზე (იხ. საკონკურსო ნიმუშის წარდგენის ფორმა). საჭიროების შემთხვევაში, სკოლის ხელმძღვანელობამ თავად უნდა გაუწიოს მოსწავლეს ტექნიკური დახმარება.

თითოეული ნაშრომი უნდა მოიცავდეს:

1. ვორდის ფაილში დაწერილ სათამაშოს დამზადების აღწერილობას;

2. მოსწავლეების მიერ მოთხრობილი ამბის მიხედვით შესრულებულ (დახატული, გამოძერწილი, კონსტრუირებული და სხვ.) ილუსტრაციებს და მათ, მაღალი ხარისხით გადაღებულ, ფოტოებს (რაოდენობა შეზღუდული არ არის). ფოტოები უნდა გადმოიგზავნოს ვორდის ფაილში შესრულებულ ნაწერთან ერთად jpg ფორმატში;

3. ელემენტზე მუშაობის ამსახველ ფოტომასალას (გადმოგზავნილი ასევე jpg ფორმატით);

4. ვორდის ფაილში დაწერილი ნაშრომი გაფორმებული უნდა იყოს მონაწილის მიერ შესრულებული ილუსტრაციების ფოტოებით, რათა ნამუშევრების გადარჩევისას კომისიის წევრებს გაუადვილდეთ მათი შეფასება.

***სასურველია,* ნიმუში ჩაიწეროს თქვენი რეგიონის (სოფლის, ქალაქის, ქუჩის, უბნის, ოჯახის, და ა.შ.) მკვიდრი მოსახლისაგან.**

კონკურსის პირველი ტურის შედეგად შერჩეული საუკეთესო ერთი ან რამდენიმე ნიმუში სკოლამ უნდა გადმოაგზავნოს:

• კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოში ელფოსტაზე aramaterialuri@yahoo.com

• ან, მოგვაწოდოს ფოსტით „საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო“, მისამართზე: თბილისი, 0105, თაბუკაშვილის ქ. 5.

მეორე ტურში გადასული მოსწავლეები, კონკურსის ორგანიზატორების შენიშვნების გათვალისწინებით, გადმოაგზავნიან დამატებით ინფორმაციას (ვორდი, ფოტო, ვიდეო ან აუდიო).

გამარჯვებული ნიმუშების მიხედვით შედგება ილუსტრირებული კრებული, რომელიც გამოიცემა კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს მიერ და საჩუქრად გადაეცემათ ავტორებსა და კონკურსში მონაწილე სკოლებს, ასევე სხვა დაინტერესებულ ორგანიზაციებს.

გამარჯვებული ავტორი (სკოლა, მასწავლებელი, მოსწავლე), საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს მიერ დაჯილდოვდება საგანგებო სიგელით და მიიღებს „არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ქომაგი“-ს წოდებას. ნამუშევრები აგრეთვე გამოქვეყნდება გაზეთ „ახალ განათლებაში“ და გაშუქდება მედიით.

საკონკურსო ნიმუშის წარდგენის ფორმა:

1. არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ნიმუში – *დასახელება;*
2. ნამუშევრის ავტორი მოსწავლის/მოსწავლეების – *სახელი, გვარი;*
3. ხელმძღვანელი პედაგოგი – *სახელი, გვარი, საკონტაქტო ინფორმაცია (ტელ., ელმისამართი);*
4. სახელმწიფო, ქალაქი (რაიონი, სოფელი), სკოლის სრული დასახელება;
5. სკოლის დირექტორი – *სახელი, გვარი, საკონტაქტო ინფორმაცია (ტელ., ელმისამართი);*
6. არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ნიმუშის სხვა დასახელება (რამდენიმე დასახელების შემთხვევაში, მიუთითეთ ყველა სათაური და დაურთეთ კომენტარი).

7. ნიმუშის აღწერა

აღწერისათვის უპასუხეთ შემდეგ კითხვებს:

• რას წარმოადგენს თქვენ მიერ შერჩეული არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ნიმუში – *მოკლე განმარტება ნიმუშის შესახებ;*

• ნიმუშის სახელწოდება *(აგრეთვე, მიუთითეთ თუ არის ცნობილი თქვენ მიერ აღწერილი ნიმუშის განსხვავებული, სხვა სახელწოდება);*

• *სად, როდის, რისთვის და ვის მიერ იქნა მოთხრობილი და ჩაწერილი ეს ნიმუში და ვისგან ისწავლეთ მისი დამზადება?*

• *რას უკავშირდებოდა აღნიშნული სათამაშოს გამოყენება, ტრადიციულად რა დროს, რა შემთხვევაში თამაშობდნენ წარმოდგენილი ნიმუშით (აღწერეთ გარემოება და თამაშის პროცესი (თუ ეს შესაძლებელია);*

• *აღწერეთ თავად ნიმუშის დამზადების პროცესი (მასალა და ტექნოლოგია);*

• *რა ატრიბუტები/იარაღები უკავშირდება/ახლავს თან მის დამზადებას/გამოყენებას (ასეთის არსებობის შემთხვევაში დააფიქსირეთ ფოტოზე);*

• *სხვა პირობები, რომელიც აუცილებელია აღნიშნული ნიმუშის დამზადების დროს;*

• *რა როლი ენიჭება თქვენ მიერ შერჩეულ ნიმუშს საზოგადოების კულტურულ, რელიგიურ ან ყოველდღიურ ცხოვრებაში. დასაბუთეთ შემოთავაზებული ნიმუშის მნიშვნელობა (უნიკალობა ან ორიგინალობა) პირადად თქვენთვის (რეგიონისთვის, სოფლისთვის, ოჯახისთვის, სკოლისთვის...), საზოგადოებისათვის.*

სპეფიციკის გათვალისწინებით, წარმოდგენილ ნაშრომს უნდა ახლდეს შესაბამისი თვალსაჩინო მასალა: ფოტო, ვიდეო/აუდიო (შესაძლებლობის შემთხვევაში), ასევე ჩანახატი, ჩანახაზი, შაბლონი, სქემა, ესკიზი და სხვა თვალსაჩინო მასალა.

მოსწავლეთა განაცხადები შეფასდება შემდეგი კრიტერიუმებით:

ნამუშევრის აღწერილობითი ნაწილი – 10 ქულა;
ნაკეთობის ტრადიციულობა – 10 ქულა;
ნაკეთობის ესთეტიკური მხარე – 10 ქულა.

კონკურსის გამარჯვებულებისთვის გამოყოფილია შემდეგი ადგილები:

• ერთი პირველი ადგილი;
• მეორე ადგილს გაიყოფს ორი მონაწილე;
• მესამე ადგილს გაიყოფს სამი მონაწილე.

შეფასება მოხდება ქულათა დაჯამების პრინციპით. ნამუშევრებს, სპეციალისტებთან ერთად, განიხილავენ არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ექსპერტები.

გადმოგზავნის ვადაა 2018 წლის 20 მარტი

გვეკონტაქტეთ: სამუშაო დღეებში
მარინა თაქთაქიშვილი 599 08 40 03;
aramaterialuri@yahoo.com

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება

რეფორმირებული სისტემის მთავარი ორიენტირები

2009 წელს საქართველოს მთავრობამ დაიწყო არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემის რეფორმა, რომელიც გაეროს ბავშვთა ფონდისა და ევროკავშირის მხარდაჭერით ხორციელდება. რეფორმა, საწყის ეტაპზე, კანონთან კონფლიქტში მყოფ ბავშვებთან დაკავშირებულ საკითხებს მოიცავდა, 2014 წლიდან კი გაფართოვდა და მოიცვა დანაშაულის შედეგად დაზარალებული და მოწმე ბავშვები, ასევე ბავშვები, რომლებიც მონაწილეობენ ოჯახურ ან სხვა სამოქალაქო დავებში, ან უწევთ ურთიერთობა სახელმწიფო ორგანოებთან საკუთარი უფლებების დასაცავად.

განრიდების და მედიაციის პროგრამის დანერგვა რეფორმის ერთ-ერთი წარმატებული მიმართულებაა. რა შედეგები მოიტანა განრიდებისა და მედიაციის პროგრამამ და როგორია დღეს კანონთან კონფლიქტში მყოფი ბავშვების მიმართ სახელმწიფოს დამოკიდებულება? – თუკი ოფიციალურ მონაცემებს შევხედავთ, სტატისტიკა ასეთია: განმეორებით დანაშაულს ასეულობით საქმიდან განრიდებული ბავშვების მხოლოდ 9% სჩადის. დღეისათვის არასრულწლოვანთა სისხლის სამართლებრივი დევნის მაჩვენებელი მკვეთრად შემცირებულია. მათ მიმართ განრიდების მექანიზმის გამოყენებამ, 2017 წლის 9 თვეში, 64% შეადგინა, 2016 წელს – 69% იყო, ხოლო 2015 წელს კი – 44%. 2017 წლის 6 თვეში მედიაციის 143 კონფერენცია გაიმართა, 2016 წელს ეს მონაცემი 222-ს შეადგენდა, 2015 წელს – 114-ს, 2014 წელს – 28-ს.

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის ამოქმედების შემდეგ, განრიდებისა და მედიაციის პროგრამა გავრცელდა, ასევე, 18-დან 21 წლამდე ახალგაზრდებზეც – 2016 წელს ამ ასაკის 322 პირს მიეცა განრიდების პროგრამებში ჩართვის საშუალება, ხოლო 2017 წლის 6 თვეში, განრიდების პროგრამებში, 18-იდან 21 წლამდე ასაკის 247 ახალგაზრდა ჩაერთო. შესაძლებელი გახდა სასამართლოს მიერ განრიდებაც. შედეგად, 2016 წელს, სასამართლოდან 38 საქმე დაბრუნდა, ხოლო 2017 წლის 6 თვეში – 11 საქმე.

*იუსტიციის მინისტრი **თეა წულუკიანი** დადებითად აფასებს რეფორმის მიმდინარეობას და აცხადებს, რომ არასრულწლოვანთა კოდექსის წყალობით, ბავშვებს შორის კრიმინალი, რეალურად, შემცირებულია. „პროკურორები, მედიატორები, დანაშაულის პრევენციის ცენტრი, ციხეში მომუშავე სოციალური მუშაკები, მოსამართლეები, პოლიციელები – ყველანი ხელჩაჭიდებული მუშაობენ იმისათვის, რომ, როდესაც ბავშვს ფეხი წაუცდება, ჩაიდენს შეცდომას (რომელსაც სხვა მხრივ დანაშაული ჰქვია), ასეთი, პირველად სამართალში მყოფი, ბავშვის წინააღმდეგ სახელმწიფო სისტემა რეპრესიას კი არ ახორციელებს, არამედ განრიდებას. ბავშვი განრიდებულია სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისგან. იწყება მედიაციის პროცესი, კერძოდ, ბავშვის შეხვედრა დაზარალებულთან, შერიგება და იმის გაანალიზება, რომ დანაშაულის ჩადენა ცუდია. ძალიან კარგი შედეგები გვაქვს: ასეულობით საქმიდან განრიდებულ ბავშვთა მხოლოდ 9%-მა ჩაიდინა კვლავ დანაშაული. ეს ძალიან დაბალი მაჩვენებელია და მიხარია, რომ ჩვენი ბავშვები მალევე ადგებიან სწორ გზას და აღარ ფიქრობენ კრიმინალზე. კრიმინალი, რეალურად, ამ კოდექსის წყალობით, ბავშვებს შორის, შემცირებულია“ – ამბობს იუსტიციის მინისტრი.*

*რა ცვლილებები განხორციელდა რეალურად რეფორმის ფარგლებში და რა არის არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების მთავარი მიზანი, ამის შესახებ გვესაუბრება გაეროს ბავშვთა ფონდის ბავშვთა დაცვის პროგრამის (არასწრულწლოვანთა მართლმსაჯულება) ხელმძღვანელი **თეონა კუჭავა**.*

– რა არის არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების რეფორმირებული სისტემის მთავარი მიზანი და საიდან დაიწყო რეფორმა?

– 2008 წელს ბავშვის უფლებათა კომიტეტმა შემაჯამებელ დასკვნებში, რომელიც საქართველოს მიერ წარდგენილი, კონვენციის შესრულებასთან დაკავშირებული, ანგარიშის მიხედვით მოამზადა, მოუწოდა სახელმწიფოს, დაეწყო არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემის რეფორმა, რადგან ის, ფაქტობრივად, ამ სისტემასთან მიმართებაში არსებულ ვერც ერთ კრიტერიუმს ვერ აკმაყოფილებდა. სწორედ ამის შემდეგ დაიწყო იუნისეფმა, პარტნიორებთან ერთად, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემის რეფორმაზე მუშაობა. 2009 წლიდან მოყოლებული, რეფორმა რამდენიმე მიმართულებას მოიცავს: კანონმდებლობის დახვეწა; დანაშაულის/სამართალდარღვევის პრევენცია; სისხლისსამართლებრივი დევნის ალტერნატიული ზომების განვითარება; პატიმრობის გამოყენება მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში; კანონთან კონფლიქტში მყოფ არასრულწლოვანთა რეაბილიტაცია და რესოციალიზაცია; პროფესიონალთა შერჩევის კრიტერიუმების ჩამოყალიბება, მათი სპეციალიზაცია და სპეციალიზებულ პირთა კვალიფიკაციის განგრძობადი ამაღლება; სტატისტიკური/საინფორმაციო სისტემის განვითარება; საზოგადოების ცნობიერების ამაღლება; ბავშვზე მორგებული გარემოს შექმნა. ამ მიმართულებებზე დღესაც მიმდინარეობს მუშაობა.

გაეროს ბავშვის უფლებათა კომიტეტი, რომელიც ბავშვის უფლებათა კონვენციის მონიტორინგის ორგანოა, მიუთითებს – რადგან ბავშვები უფროსებისაგან განსხვავდებიან განვითარების დონით, საგანმანათლებლო თუ სხვა საჭიროებებით, ამიტომ მათთვის უნდა არსებობდეს განსხვავებული მიდგომები, რითაც იხელმძღვანელებენ მართლმსაჯულების სისტემაში. განსხვავებული მიდგომები, თავისთავად, მოითხოვს ქვეყანაში განსხვავებული კანონმდებლობის, სპეციალიზებული სისტემის და სხვადასხვა მექანიზმების არსებობას, რომელიც ხელს შეუწყობს კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნების რეაბილიტაციას და განმეორებითი დანაშაულის შემცირებას. ზოგადად, უნდა ითქვას, რომ დადგენილი წესებიდან გადახრილი ქცევა ზრდა-განვითარების პროცესის ნაწილია და სრულწლოვანების ასაკის მიღწევისთანავე უჩინარდება. რაც მთავარია, თუ სახელმწიფოს მხრიდან სწორი ჩარევა ხორციელდება, მაშინ კანონსაწინააღმდეგო ქცევაც საერთოდ ქრება.

რაც შეეხება არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებას, ეს არის სისტემა, რომელიც აერთიანებს კანონთან კონფლიქტში მყოფ ბავშვებთან დაკავშირებულ საკითხებს, ზოგ შემთხვევაში, მოწმეთა და დაზარალებულ ბავშვებთან დაკავშირებულ საკითხებსაც. ეს, ძირითადად, სისხლის სამართლის სფეროა, თუმცა არსებობს უფრო ფართე ცნება, როგორიცაა ბავშვზე მორგებული მართლმსაჯულება, რომელიც სხვა მიმართულებებსაც მოიცავს, მაგალითად, სამოქალაქო და ადმინისტრაციულ წარმოებას.

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების მიზანი უნდა იყოს არასრულწლოვნის რეაბილიტაცია, იმის ხელშეწყობა, რომ მან გააცნობიეროს ჩადენილი ქმედების ხასიათი – რატომ იყო ეს ქმედება ცუდი და რა ზიანი მიაყენა დაზარალებულს, საზოგადოებას, მის გვერდით მყოფ ადამიანებს. სისტემა უნდა დაეხმაროს მას, საკუთარი ძალებით გამოასწოროს მიყენებული ზიანი, ამაშია მართლმსაჯულების მთელი არსი. ამ შემთხვევაში, უდიდესი როლი აკისრია აღდგენით მართლმსაჯულებას, რომელიც სწორედ იმაზეა მიმართული, რომ დაზარალებულსა და დამზარალებელს შორის წარმართოს დიალოგი, აღადგინოს მათ შორის პირვანდელი მდგომარეობა ან გამოსაწოროს ზიანი, რაც დაზარალებულ მხარეს მიადგა.

ბავშვის უფლებათა კონვენციაც სწორედ ამ მიზანს აკისრებს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებას – გაუღვივოს ბავშვს საკუთარი ღირსების გრძნობა, ასწავლოს სხვისი უფლებების პატივისცემა და დაეხმაროს მას, რომ საზოგადოებაში დადებითი როლი შეასრულოს. მსგავსი მიდგომა სასიკეთოა არა მხოლოდ იმ მოზარდისთვის, ვინც მართლმსაჯულების სისტემაში ხვდება, არამედ საზოგადოებისთვის, მისი უსაფრთხოებისთვისაც, რადგანაც სწორედ ასეთი მიდგომა ამცირებს განმეორებითი დანაშაულის ჩადენის რიცხვს. კვლევებით დამტკიცებულია და საერთაშორისო პრაქტიკაც აჩვენებს (მათ შორის, საქართველოში არსებული პრაქტიკაც), რომ აღდგენითი მართლმსაჯულება, და არა კლასიკური სადამსჯელო-რეპრესიული მიდგომით წარმართული მართლმსაჯულება, გაცილებით ეფექტურია და ბევრად დაბალია განმეორებითი დანაშაულის დონე ძველ, ტრადიციულ სისტემებთან შედარებით. არასრულწლოვნის სამომავლო პერსპექტივებს თუ გავითვალისწინებთ, რა თქმა უნდა, ამ შემთხვევაში, ჩვენ ვიღებთ ახალგაზრდას, რომელიც ზრდასრულობის დროს საზოგადოების სრულფასოვანი წევრი ხდება და არა აქვს სტიგმა.

– რას ნიშნავს ბავშვზე მორგებული მართლმსაჯულება და რა არის ამ სისტემის მთავარი ელემენტები?

– ბავშვზე მორგებული მართლმსაჯულება ნიშნავს სისტემას, რომელიც ხელმისაწვდომია, ასაკთან შესაბამისი, სწრაფი, თანმიმდევრული, ბავშვის უფლებებსა და საჭიროებებზე მორგებული. ასეთი სისტემა უზრუნველყოფს ბავშვის უფლებების დაცვას სამართლიან სასამართლო პროცესში მისი მონაწილეობის და ინფორმირების, პირადი და ოჯახური ცხოვრების, პატივისა და ღირსების პატივისცემის გზით.

ბავშვზე მორგებული მართლმსაჯულების სისტემა აუცილებლად უნდა მოიცავდეს: **კანონმდებლობას**, რომელიც ითვალისწინებს ბავშვებთან დაკავშირებულ საკითხებს და იძლევა მათი უფლებების დაცვის სამართლებრივ გარანტიას; **ბავშვზე მორგებულ გარემოს** მართლმსაჯულების სისტემის ყველა რგოლში. მართლმსაჯულების პროცესის ყველა ეტაპზე ბავშვი თავს დაცულად უნდა გრძნობდეს, მისი გამოკითხვა უნდა მიმდინარეობდეს მისთვის ნაკლებად ტრამვირებად გარემოში – მაგალითად, ხალხმრავალი ოთახის ნაცვლად, პროფესიონალის მიერ სპეციალურად მომზადებულ, განმარტოებით, მშვიდ გარემოში. გარემო ხელს უნდა უწყობდეს ბავშვის სრულფასოვან მონაწილეობას პროცესში; **სპეციალიზებულ პროფესიონალებს** მართლმსაჯულების სისტემის ყველა რგოლში. პოლიციელი, ადვოკატი, მოსამართლე, პროკურორი, სოციალური მუშაკი, მედიატორი და მართლმსაჯულების სისტემაში ჩართული ყველა პროფესიონალი სპეციალურად გადამზადებული უნდა იყოს ბავშვთა უფლებების, ბავშვთან კომუნიკაციის, ბავშვთა განვითარების საკითხებში. ეს სპეციალიზებული პროფესიონალები სხვადასხვა უნყებიდან, გუნდურად და ბავშვზე მორგებული მეთოდებით უნდა მუშაობდნენ, მართლმსაჯულების ყველა ეტაპზე, ბავშვის საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით.

– როგორია მართლმსაჯულების სისტემაში არასრულწლოვნების მოხვედრის ასაკობრივი ზღვარი?

– სხვადასხვა ქვეყანაში ასაკობრივი ზღვარი სხვადასხვაა. არის ქვეყნები, სადაც უფრო დაბალია სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის მინიმალური ასაკი, მაგალითად, კომიტეტის მიხედვით, ყველაზე მინიმალურ ასაკად 12 წელი ითვლება. თუმცა, არსებობს ამაზე კიდევ უფრო დაბალი პასუხისმგებლობის ასაკიც. არის, ასევე, უფრო მაღალი პასუხისმგებლობის ასაკი – 15-16 წელი. ჩვენს ქვეყანაში ეს ასაკი 14 წლით განისაზღვრება და სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა 14 წლიდან იწყება. შესაბამისად, როდესაც არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაზე და კანონთან კონფლიქტში მყოფ არასრულწლოვნებზე ვსაუბრობთ, ამ შემთხვევაში, 14-დან 18 წლამდე მოზარდებს ვგულისხმობთ. თუმცა, ჩვენი კოდექსის მიხედვით, რიგ შემთხვევებში, კოდექსის ნორმები 18-დან 21 წლამდე ასაკზეც ვრცელდება.

ჩვენი კოდექსი ადმინისტრაციულ სამართალდარღვევების საკითხებსაც მოიცავს და ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა 16 წლის ასაკიდან იწყება, ხოლო როცა დაზარალებულებსა და მოწმეებზე ვსაუბრობთ, ნებისმიერი ასაკის ადამიანი მოიაზრება. რაც უფრო დაბალია ასაკი, მით უფრო სპეციფიკური მიდგომებია საჭირო. სწორედ ამიტომაც, საერთაშორისო სტანდარტები და პრინციპები კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს იმას, რომ ბავშვებთან მიმართებაში განსაკუთრებული მიდგომები უნდა არსებობდეს.

– რეფორმის ხელშესახებ შედეგებად რას მიიჩნევთ?

– ერთ-ერთ ყველაზე ხელშესახებ შედეგად შეიძლება ჩაითვალოს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი, რომელიც 2015 წელს იქნა მიღებული და წინ საკმაოდ ინტენსიური სამუშაო უძღოდა. ამ პროცესებში ჩართული იყო მრავალი უწყება, პროფესიონალები, ექსპერტები, სამთავრობო თუ არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები. მანამდე კანონმდებლობაში არასრულწლოვანებთან დაკავშირებული მუხლები გაბნეულად არსებობდა. შინაარსობრივი თვალსაზრისითაც, რა თქმა უნდა, არ იყო ძლიერი და ვერ ამკვიდრებდა იმ პრინციპებს, რასაც კოდექსი უნდა ამკვიდრებდეს. აქედან გამომდინარე, იუნისეფმა, 2013 წელს, ჩაატარა კვლევა, რომელმაც დაადასტურა, რომ იმ დროს არსებული კანონმდებლობა ვერ პასუხობდა იმ პრინციპებს, რასაც არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემა მოითხოვდა. აუცილებელი გახდა ცალკე არასრულწლოვანთა მართლმ-

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება

საჯულების კოდექსის შემუშავება, რაშიც მხარი დაგვიჭირა ევროკავშირმა. ამ პროცესში ჩართული იყო საერთაშორისო მოსამართლე, ევროკავშირის პროექტის ხელმძღვანელი რენატე ვინტერი, რომელიც ამჟამად ბავშვის უფლებათა კომიტეტის თავმჯდომარეა. კოდექსის შექმნის პროცესზე ხელმძღვანელობა იუსტიციის სამინისტრომ აიღო, შეიქმნა ჯგუფი და მომზადდა კოდექსის პროექტი. განხილვების შემდეგ, 2015 წელს, კოდექსი იმ სახით მივიღეთ, როგორიც დღეს გვაქვს.

შეიძლება ითქვას, რომ კოდექსი, საქართველოს დღევანდელ საკანონმდებლო სივრცეში, საუკეთესო დოკუმენტია და მეტიც, ექსპერტთა შეფასებით, საუკეთესო დოკუმენტია რეგიონის მასშტაბითაც, რადგან აერთიანებს და მოიცავს ძალიან ბევრ მნიშვნელოვან საკითხს და ამკვიდრებს, ასევე, ძალიან მნიშველოვნან პრინციპებსა და მიდგომებს. მაგალითად, პირველ რიგში, გათვალისწინებული უნდა იქნეს ბავშვის საუკეთესო ინტერესები; ძალიან მნიშვნელოვანი პრინციპია, ასევე, თავისუფლების აღკვეთის გამოყენება, როგორც უკიდურესი ზომა, ან ის, რომ მხოლოდ სპეციალიზებულმა პროფესიონალებმა უნდა განიხილონ არასრულწლოვანთა საქმეები; პრიორიტეტი უნდა მიენიჭოს ალტერნატიულ ზომებს – განრიდებას, ყველაზე მსუბუქ საშუალებას, დაბოლოს, გამოყენებული უნდა იქნეს თავისუფლების აღკვეთა; არასრულწლოვანთა საქმეები უნდა იყოს პრიორიტეტული და ასევე, თავიდან იქნეს აცილებული არასრულწლოვანი და ზარალებულის მეორეული ვიქტიმიზაცია და ხელახალი ტრავმირება, პრიორიტეტულად უნდა იყოს განხილული მათი საქმეები და კიდევ, უამრავი ისეთი პრინციპი, რომელიც მანამდე ქართულ კანონმდებლობაში არ არსებობდა. რა თქმა უნდა, ამ პრინციპების განხორციელების მექანიზმები გაწერილია კოდექსში ან კანონქვემდებარე აქტებში, რომელიც კოდექსის მიღების შემდგომ მიიღო შესაბამისმა უწყებებმა.

რაც შეეხება კოდექსის განხორციელებას, უკვე ორი წელია მოქმედებს და შედეგიც თვალსაჩინოა – იკლო პატიმრობის მაჩვენებელმა, იმატა განრიდების მაჩვენებელმა, უკვე გვყავს სპეციალიზებული პროფესიონალები და ა.შ. ასევე უმნიშვნელოვანესი ინოვაცია, რაც კოდექსმა შემოიტანა, ინდივიდუალური მიდგომაა – თითოეულ ბავშვს ინდივიდუალურად უნდა მივუდგეთ და მის ირგვლივ აბსოლუტურად ყველა გარემოება უნდა შეფასდეს – გათვალისწინებული უნდა იყოს საჭიროებები, რისკები და ძლიერი მხარეები, ასევე, საგანმანათლებლო, ჯანმრთელობის, ფსიქოლოგიური და ა.შ. მხოლოდ ამ შეფასების შემდეგ უნდა იყოს მიღებული გადაწყვეტილება, იქნება ეს განრიდება თუ საქმე სასამართლოში გაიგზავნება და სხვ. მნიშვნელოვანია ისიც, რომ კოდექსის განხორციელებას ზედამხედველობას უწევს ე.წ. მულტიდისციპლინური ჯგუფი. მულტიდისციპლინური მიდგომაც ნოვაციაა, რაც საბოლოოდ კოდექსმა დაამკვიდრა, თუმცა მანამდეც არსებობდა არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში ბევრი პროფესიონალის – მართლმსაჯულების სფეროს თუ, მაგალითად, სოციალური ან განათლების სფეროს წარმომადგენლების მონაწილეობა. ეს პროფესიონალები მსჯელობენ და საბოლოო გადაწყვეტილებასაც ერთად იღებენ. რასაკვირველია, მულტიდისციპლინური მიდგომა კონკრეტულ საქმეებზეც ვრცელდება, თუმცა, ამ შემთხვევაში, ვსაუბრობ ცენტრალურ დონეზე შექმნილ მულტიდისციპლინურ ჯგუფზე, რომელიც შედგება ცენტრალური აპარატის წარმომადგენლებისგან, იმ უწყებებისგან, რომლებიც ჩართული არიან ამ პროცესებში. ჯგუფის წევრებს, საქართველოს მასშტაბით, მუდმივი კავშირი აქვთ პროფესიონალებთან. აგროვებენ ინფორმაციას არსებულ პრობლემებზე, შემდეგ მსჯელობენ და იღებენ უკუკავშირს პროფესიონალებისგან.

ორი წელია, რაც მულტიდისციპლინური ჯგუფი ცენტრალურ დონეზე არსებობს და 2017 წლის დეკემბერში მულტიდისციპლინური მექანიზმი შეიქმნა ქვეყნის ყველა რეგიონში. პირველი შეხვედრაც დეკემბერში შედგა. ეს ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან რეგიონების სპეციფიკა და მოცემულობა ერთმანეთისგან განსხვავდება, აქედან გამომდინარე, ვფიქრობთ, რეგიონების სპეციფიკის გათვალისწინება აუცილებელია. იუნისეფისა და ევროკავშირის მხარდაჭერით, 2016 წელსაც, ჩატარდა შეხვედრები და ძალიან სასარგებლოც იყო, მაგრამ არ ჰქონდა ინსტიტუციონალიზებული სახე. კიდევ ერთხელ დავაზუსტებ, რომ ამ მულტიდისციპლინური მექანიზმის ფუნქცია კონკრეტულ ქეისებზე მუშაობა და მასზე გადაწყვეტილების მიღება არ იქნება, ეს უფრო გლობალურად არსებული ჯგუფია, რომელიც კოდექსის განხორციელებას შეუწყობს ხელს. თუმცა, შეიძლება კონკრეტული ქეისებიც განიხილონ, როგორც მაგალითი ან პრეცედენტი, რა თქმა უნდა, კონფიდენციალობის დაცვით.

პარტნიორ უწყებებთან ერთად, უფრო სიღრმისეულ სპეციალიზაციაზეც ვმუშაობთ. მაგალითად, 2015 წელს, როდესაც კოდექსი იქნა მიღებული, პროფესიონალების საკმაოდ დიდი რაოდენობა გადამზადდა, რომლებსაც სპეციალიზებული პროფესიონალის სტატუსი მიენიჭათ. თუმცა, ვფიქრობთ, ეს პროცესი უნდა გაგრძელდეს და არავითარ შემთხვევაში, არ შემოვიფარგლოთ იმ რამდენიმედღიანი საწყისი ტრენინგით. ახლა სწორედ ამაზე ვმუშაობთ პარტნიორებთან, გვინდა, უკვე გადამზადებული სპეციალიზებული პროფესიონალებიდან შეირჩეს კიდევ უფრო პატარა ჯგუფი, რომელიც მხოლოდ არასრულწლოვანთა საქმეებზე იმუშავებს და მუდმივ რეჟიმში გაივლის გადამზადებას. სპეციალიზაციაც ხომ სწორედაც მუდმივ გადამზადებასა და მუდმივად ფორმაში ყოფნას გულისხმობს.

საუბარია იმაზეც, რომ შეიქმნას ხარისხის კონტროლის მექნიზმები – ცენტრალურ უწყებებში უნდა არსებობდეს რგოლი ან დანაყოფი, რომელიც სპეციალიზებული პროფესიონალების მუშაობის ხარისხს გაუწევს ზედამხედველობას. ამ მექანიზმს, ძირითადად, დამხმარე ფუნქცია ექნება – აღმოაჩენს პრობლემას ან ხარვეზს და მის მოგვარებაზე იმუშავებს. უმნიშვნელოვანესია ბავშვზე მორგებული გარემოს შექმნა, ამ შემთხვევაში, ინფრასტრუქტურას ვგულისხმობ, თორემ ზოგადად, ბავშვზე მორგებული მართლმსაჯულება სპეციალური, ბავშვზე მორგებული კანონების, პროფესიონალების, მეთოდოლოგიისა და პროცედურების არსებობას გულისხმობს. იუნისეფს, ევროკავშირის დახმარებით, შესაძლებლობა აქვს, ყველა უწყებაში შექმნას ბავშვზე მორგებული ერთი მოდელური გარემო, რომელიც გაუადვილებს ბავშვს პროცესში მონაწილეობას, თავიდან აგვაცილებს მეორეულ ვიქტიმიზაციას და ტრავმირებას, პროცესი წარიმართება კონფიდენციალურობის სრული დაცვით, დაზარალებულების შემთხვევაში შესაძლებელი იქნება გამოკითხვის ვიდეოჩანაწერის გაკეთება, რომელიც მინიმუმამდე დაიყვნას გამოკითხვათა რადენობას.

იუნისეფი, ასევე ევროკავშირის მხარდაჭერით, მუშაობს მონაცემთა სისტემის შექმნაზე, რომელიც საშუალებას მოგვცემს, შევაგროვოთ ინფორმაცია და, მისი ანალიზის საფუძველზე, გამოვკვეთოთ ტენდენციები. შემდეგ, თუ საჭიროა, შევცვალოთ პრაქტიკა, მათ შორის პოლიტიკა და კანონმდებლობაც. სისტემის შექმნის პროცესში ჩართულია მართლმსაჯულების საკითხებზე მომუშავე ყველა უწყება და სამუშაოს ანალიტიკური ნანილი უკვე შესრულებულია. არსებობს 40-ზე მეტი ინდიკატორი, რომელიც დეტალურ ინფორმაციას შეაგროვებს მართლმსაჯულების სისტემაში მოხვედრილ ბავშვებთან დაკავშირებით, შემდეგ, უკვე სტატისტიკური სახით, საჯაროდ გამოიტანს ნებისმიერი დაინტერესებული პირისთვის, ვინც ამ ბაზის ვიზიტორი იქნება.

– ვის ეხება განრიდება და როგორ უნდა წარიმართოს ეს პროცესი?

– განრიდება დევნის ალტერნატიული მექანიზმია, რომელიც არასრულწლოვანს ფორმალური მართლმსაჯულების სისტემას არიდებს და იმ შემთხვევაში გამოიყენება, თუ სახეზეა ნაკლებად მძიმე ან მძიმე დანაშაული.

განრიდების შესახებ პირვანდელ გადაწყვეტილებას პროკურორი იღებს, რადგან სწორედ მას აქვს ამის უფლებამოსილება. შემდეგ პროცესში რთავს სოციალურ მუშაკს, რომელიც აკეთებს შეფასებას, ასევე, მედიატორს (იმ შემთხვევაში, თუ საქმეში დაზარალებულია), რომელიც ამზადებს და უძღვება მედიაციის პროცესს. მედიაცია, ძირითადად, არის დიალოგი დაზარალებულსა და დამზარალებელს შორის, რომელიც მიზნად ისახავს მხარეებს შორის შეთანხმებას. მედიაცია მიმართულია იმისკენ, რომ არასრულწლოვანმა გააცნობიეროს ჩადენილი ქმედება და თავისივე ძალებით გამოასწოროს მდგომარეობა. მედიაცია და განრიდება მნიშვნელოვანია იმიტომაც, რომ არა მხოლოდ დამზარალებლისა და კანონდამრღვევის ინტერესებზეა მიმართული, არამედ არანაკლებ ყურადღებას უთმობს დაზარალებულ მხარესაც, რაც ფორმალური მართლმსაჯულების სისტემაში ნაკლებად არის შესაძლებელი. შეიძლება ითქვას, რომ მედიაციის პროცესი საზოგადოებისთვისაც მნიშვნელოვანია, რადგანაც განრიდებით წარმართულ საქმეებში გაცილებით ნაკლებია განმეორებით ჩადენილი დანაშაულის რიცხვი.

როცა პროკურორი იღებს პირვანდელ გადაწყვეტილებას განრიდების შესახებ, ამისთვის აუცილებლად უნდა არსებობდეს გარკვეული კრიტერიუმები – დანაშაული უნდა იყოს ნაკლებად მძიმე ან მძიმე, პირი არ უნდა იყოს ნასამართლევი, არ უნდა ჰქონდეს მონაწილეობა მიღებული განრიდებში, უნდა აცნობიერებდეს და იღებდეს პასუხისმგებლობას ჩადენილზე და, რაც მთავარია, თანახმა უნდა იყოს განრიდებაზე, რადგან ეს ნებაყოფლობითია. გარდა ამისა, აუცილებლად უნდა არსებობდეს უტყუარი მტკიცებულება, რომ ამ კონკრეტულმა არასრულწლოვანმა ჩაიდინა დანაშაული და ა.შ. ამ კრიტერიუმების დაკმაყოფილების შემთხვევაში, პროკურორი იღებს გადაწყვეტილებას და შემდეგ საქმეს უგზავნის პრობაციის სააგენტოს სოციალურ მუშაკს.

როგორც ხედავთ, ეს კომპლექსური პროგრამაა, რადგან პროცესში ბევრი პროფესიონალია ჩართული სხვადასხვა უწყებიდან. მნიშვნელოვანია მათ შორის კარგი კოორდინაცია. სოციალური მუშაკი აფასებს არასრულწლოვანს და, ინდივიდუალური შეფასებისას გამოკვეთილი საჭირობებიდან გამომდინარე, მას განრიდების პირობებს სთავაზობს. თუ სახეზეა დაზარალებული, პარალელურად, საქმე ეგზავნება მედიატორს, რომელიც მუშაობს დაზარალებულთან, რომ, პირველ რიგში, დაითანხმოს დიალოგზე და მოამზადოს კონფერენციისთვის, ასევე მუშაობს დამზარალებელ მხარესთან, ბოლოს კი იმართება მედიაციის კონფერენცია, სადაც მხარეები თანხმდებიან და ფორმდება ხელშეკრულება, რომელშიც აისახება ის პირობები და ვალდებულებები, რომელიც არასრულწლოვანმა უნდა შეასრულოს. თუ შეასრულებს ამ პირობებს, რასაკვირველია, საქმეც დასრულდება, არასრულწლოვანს ნასამართლეობა არ ჩაეწერება და, შესაბამისად, შეწყდება გამოძიება და დევნა. თუ არ შეასრულებს ან ჩაიდენს განმეორებით დანაშაულს, მაშინ, თავისთავად, საქმე თავიდან მიდის პროცესში.

– ვინ უწევს ზედამხედველობას განრიდებით დაკისრებული პირობების შესრულებას და როგორია ეს პირობები?

– განრიდებით დაკისრებული პირობების შესრულებას ზედამხედველობას უწევს პრობაციის სააგენტოს სოციალური მუშაკი, რომელიც, თავდაპირველად, აკეთებს შეფასებას და მონიტორინგის ანგარიშს უგზავნის პროკურორს. პროკურორი მუდმივად საქმის კურსშია შესრულებული თუ არშესრულებული მოვალეობების შესახებ. დაკისრებული მოვალეობები შეიძლება მრავალნაირი იყოს, მაგალითად, არასრულწლოვანს შეიძლება დაეკისროს რაიმე ტიპის, საზოგადოებისთვის ან დაზარალებულისთვის სასარგებლო საქმიანობის შესრულება, პარალელურად, შეიძლება დაეკისროს თუნდაც ის, რომ სკოლაში გამოასწოროს აკადემიური დასწრება. თუმცა, ეს აუცილებლად იქნება კომპლექსური, რადგან მხოლოდ ერთი პირობის შესრულება არ ეკისრება. მთავარია, დაკისრებული მოვალეობები აუცილებლად მის საჭიროებაზე იყოს მორგებული, რასაც შეფასება გამოკვეთს. არის ხოლმე შემთხვევები, როცა არასრულწლოვანს ამისამართებენ მოხუცებულთა თავშესაფარში რაიმე სამუშაოს შესასრულებლად ან, მაგალითად, იმ მაღაზიაში, რომელიც დააზარალა. რა თქმა უნდა, საჭიროებებთან ერთად, აუცილებლად უნდა იყოს გათვალისწინებული არასრულწლოვნის შესაძლებლობებიც, არ შეიძლება მოვთხოვოთ იმის კეთება, რაც მის ძალებს აღემატება, ანუ დაკისრებული ვალდებულება, არც ერთ შემთხვევაში, არ უნდა იყოს იმაზე მძიმე, რაც მას სასჯელით დაეკისრებოდა. განრიდებით დაკისრებული მოვალეობების შესრულება, მაქსიმუმ, 12 თვე შეიძლება გაგრძელდეს.

ერთი მნიშვნელოვანი დეტალიც – პროკურორის გარდა, მოსამართლესაც აქვს განრიდების გამოყენების შესახებ გადაწყვეტილების მიღების უფლება. თუ პროკურორი გადაწყვეტს, რომ არ განარიდოს არასრულწლოვანი და საქმე სასამართლოში გააგზავნოს, მოსამართლეს როგორც მხარეების მოთხოვნით, ასევე თავისი ინიციატივით (თუ ჩათვლის საჭიროდ), შეეძლება დააბრუნოს საქმე პროკურორთან. ასეთ შემთხვევაში, უკვე სავალდებულო ხდება განრიდება და პროკურორს აღარ შეუძლია უარი თქვას არასრულწლოვნის განრიდებაზე – ესეც კოდექსის სიახლეა, რადგან ადრე მხოლოდ პროკურორს შეეძლო განრიდებაზე გადაწყვეტილების მიღება.

თვითონ პროგრამა ძალიან საინტერესო და მრავლისმომცველია, არანაკლებ საინტერესოა პრაქტიკაც. ჩვენი სამომავლო გეგმები კოორდინაციის გაძლიერებასა და ხარისხის კონტროლის ერთიანი მექანიზმის შექმნას უკავშირდება. ასევე, აუცილებელია გაიზარდოს სოციალური მუშაკების რაოდენობა, იმიტომ რომ, ეს ადამიანები უმნიშვნელოვანეს სამუშაოს ასრულებენ. გარდა ამისა, უნდა გაიზარდოს იმ პროგრამების და სერვისების რაოდენობა, რომლებიც განრიდებაში შეიძლება გამოყენებული იყოს, როგორც პირობები ან ღონისძიებები. ასევე, არსებობს გეგმა მედიაციის, როგორც აღდგენითი მართლმსაჯულების პრაქტიკული გამოვლინებისა და სხვა ტიპის საქმეებზე, რომელიც, მაგალითად, განრიდების გარდა, გამოყენებული იქნება სასამართლო პროცესზეც. სისტემამ მედიაცია შეიძლება ნებისმიერ ეტაპზე გამოიყენოს. არსებობს ბევრი ქვეყანა, სადაც აღდგენითი მართლმსაჯულება სასამართლო ეტაპზე გამოიყენება ან უკვე სასჯელის გამოტანის აღსრულების, ოღონდ სხვადასხვა სახით და მოდიფიკაციით.

რეფორმა როცა დაიწყო, ეს მხოლოდ კანონთან კონფლიქტში მყოფ ბავშვებზე იყო მიმართული, უფრო ვიწრო ფოკუსი ჰქონდა, მაგრამ უკვე 2014 წლიდან, რეფორმის სტრატეგია გაფართოვდა და სხვა ჯგუფებიც მოიცვა, როგორიც არის, მაგალითად, მოწმე და დაზარალებული ბავშვები, რაც უკვე კოდექსშიც შევიდა, ასევე, სამოქალაქო და ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში მონაწილე ბავშვები, რომელიც ასევე ძალიან მნიშვნელოვანი მიმართულებაა და აქაც არანაკლები საჭიროება არსებობს სპეციალური მიდგომების გამოყენებისა.

მართალია, სისხლის სამართლის მიმართულებით ბევრი რამ გაკეთდა, მაგრამ რეფორმის ფარგლებში უნდა დაიხვეწოს როგორც ადმინისტრაციული, ასევე სამოქალაქო კანონმდებლობა, შეიქმნას მაქსიმალურად ეფექტიანი მართლმსაჯულების სისტემა, რომელიც კანონთან კონტაქტში მყოფი ყველა ბავშვის საუკეთესო ინტერესების დაცვას შეძლებს.

რაც შეეხება სამოქალაქო და ადმინისტრაციულ სფეროებს, ჯერჯერობით, განხორციელებულია მხოლოდ კანონმდებლობის ანალიზი, რომელმაც მნიშვნელოვანი ხარვეზები გამოკვეთა. დაგეგმილია კანონმდებლობის გადახედვა, რაც მყარ გარანტიებს დააწესებს მართლმსაჯულების სისტემასთან შეხებაში მყოფი ბავშვებისთვის. პარალელურად, დაიწყება მუშაობა სისტემის სპეციალიზაციაზე და სხვა მექანიზმების შექმნაზე.

ესაუბრა ლალი ჯელაძე

იუბილე

ქალაქ ბოლნისის პირველი საჯარო სკოლა 75 წლისაა

ბოლნისი – ღვთივკურთხეული ქართული მიწა. ქვემო ქართლის ამ უმშვენიერეს მიწა-წყალს უძველესი ქართული ძეგლის – ბოლნისის სიონის – შარავანდედი ადგას გვირგვინად. პირველი ქართული წარწერა ხომ ამ ტაძარმა შემოგვინახა. დგას ქართული ხუროთმოძღვრების, ქართული ანბანის, ქართული სიტყვის თითქოს უტყვი მემატიანე, მაგრამ ბევრად მეტყველი, ვიდრე რომელიმე მოკვდავი.

აქ, ამ მიწაზე, ამაყად დგას ბოლნისის №1 საჯარო სკოლა, რომელიც დიდი ტრადიციებისა და საინტერესო ისტორიის მატარებელია. პროფესიონალი პედკოლექტივის სახელოვანი აღზრდილები დღეს მნიშვნელოვან სიტყვას ამბობენ თავიანთ სფეროებში: მეცნიერ-მუშაკები, ექიმები, ხელოვანები, სპორტსმენები, ბიზნესმენები, მეწარმეები, პარლამენტარები, სკოლის დირექტორები, მთავრობისა და ხელისუფლების წარმომადგენლები.

ბოლნისის პირველი სკოლა 75 წლისაა! სკოლის ზეიმი რაიონის საყოველთაო დღესასწაულად იქცა. თავისი სამოცდათხუთმეტი წლის ისტორიის მანძილზე, პირველ სკოლას ბევრი გამორჩეული პედაგოგი ამშვენებდა და ამშვენებს. ეს ნიჭიერი ადამიანები დიდებას და ავტორიტეტს მატებენ სასწავლო დაწესებულებას, სადაც ასობით ახალგაზრდა ფრთიანდება ღირსეულ მამულიშვილად.

№1 საჯარო სკოლა უყურადღებოდ არ ტოვებს არცერთ საინტერესო პროექტს, კონკურსს, სპორტულ თუ სასწავლო ოლიმპიადას. ბოლო ათწლეულის განმავლობაში, არაერთი წარმატების მომსწრეები ვართ. დღეს სკოლაში 800 მოსწავლე სწავლობს. ჩვენი კურსდამთავრებულები წარმატებით აბარებენ გამოსაშვებ თუ ეროვნულ გამოცდებს. 2016-2017 სასწავლო წელს სკოლას ათი მედალოსანი ჰყავდა, რაც ჩვენთვის ძალიან საამაყო და სასიხარულოა.

ჩვენი სკოლის მოსწავლეები სისტემატურად მონაწილეობენ სხვადასხვა სპორტულ შეჯიბრებაში და ხშირად დიდ წარმატებას აღწევენ. აღსანიშნავია ფეხბურთის გუნდისა და ფრენბურთელ გოგონათა მიღწევები. რესპუბლიკის მასშტაბით, სკოლბურთში, სკოლის გუნდმა, 2009 წელს, მე-3 ადგილი და ბრინჯაოს მედალი მოიპოვა; 2010 წელს – მე-2 ადგილი და ვერცხლის მედალი; 2011 წელს საქართველოს ჩემპიონები გახდნენ, რის შემდეგაც გუნდი ანტალიაში გაემგზავრა ტურნირზე.

2016-17 წლებში დიდ წარმატებას მიაღწია ფრენბურთელ გოგონათა გუნდმა. ისინი სასკოლო ოლიმპიადის ჩემპიონები გახდნენ და 2018 წლის გაზაფხულზე საქართველოს ევროპაში წარადგენენ, კერძოდ ჩეხეთში, საერთაშორისო ტურნირზე. აღარ ჩამოვთვლით სარაიონო ტურნირებსა და შეჯიბრებებში მიღებულ ჯილდოებს, რომელიც მრავლად აქვს სკოლას. ამ ყველაფერში დიდი წვლილი მიუძღვით სპორტის მასწავლებლებს.

2012 წელს პირველმა საჯარო სკოლამ მონაწილეობა მიიღო მშვიდობის კორპუსის მიერ ორგანიზებულ პროექტში, მოიპოვა გრანტი 2000 ლარის ოდენობით და ინგლისური ენის კაბინეტისათვის ტექნიკური აღჭურვილობა შეიძინეს. პროექტზე მუშაობდნენ ამერიკელი მოხალისე და სკოლის ინგლისურის მასწავლებელი **დარეჯან ლეპსაია**.

2015 წელს სკოლა მონაწილეობდა გაეროს მიერ დაფინანსებულ საერთაშორისო პროექტში „ჯაჭვური რეაქცია“, რომლის მიზანია სკოლაში კვლევაზე დაფუძნებული სწავლების მეთოდების დანერგვა, საუკეთესოთა შორის პირველ ხუთეულში მოხვდა და მოიპოვა გრანტი – 2000 ევრო. ამავე პროექტის ფარგლებში, მონაწილეობდნენ მოსწავლეთა ეროვნულ კონფერენციაში და ერთ-ერთი საპრიზო ადგილიც დაიკავეს (პედაგოგები: **თინათინ ფრუიძე**, **ლეილა გელაძე**).

ასევე, ჩვენი მოსწავლეები, სამი წლის მანძილზე, იმარჯვებდნენ პროექტში „ენერგოეფექტურობა“, საერთო ჯამში, დაჯილდოვდნენ 1000 დოლარით (პედაგოგი – **ირმა წაქაძე**).

2016 წელს, ესეების კონკურსში „წარსულით შექმნილი მომავალი“, პირველი ადგილი დაიკავა ჩვენი სკოლის მოსწავლემ **ზაურ წაქაძემ** და მისი ესე მოთავსდა „დროის კაფსულაში“ 25 წლით. ზაური დაჯილდოვდა 500-ლარიანი წიგნების ვაუჩერით, ხოლო პედაგოგი **კარინე დევნოზაშვილი** განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ 500 ლარით დააჯილდოვა.

ბოლნისის №1 საჯარო სკოლის გაერთიანებული გუნდი, **ელენე საჯაიას** ხელმძღვანელობით, ბოლო სამი წლის მანძილზე, წარმატებებს აღწევდა. 2017 წლის გაზაფხულზე კი, ეროვნულ-რესპუბლიკურ საგუნდო კონკურსზე, საპრიზო ადგილი დაიკავა და ლაურეატის წოდებაც მოიპოვა.

სკოლამ მონაწილეობა მიიღო საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ ორგანიზებულ კონკურს-ფესტივალზე „ვაჟა – სკოლის სცენაზე“. წარმოდგენილი სპექტაკლი წარმატებულთა პირველ ხუთეულში მოხვდა და დიპლომით დაჯილდოვდა.

ეს წარმატებების არასრული ჩამონათვალია.

როგორ მოვიდა სკოლა დღემდე? როგორ გაიარა 75 გრძელი და შინაარსიანი წელი? გთავაზობთ მცირე ისტორიულ ექსკურსს: ბოლნისს ადრე ლუქსემბურგი ერქვა, ეს სახელი კომპაქტურად დასახლებულ გერმანელებს შეურქმევიათ. ომის დაწყებისთანავე, სტალინის ბრძანებით, გერმანელები გაუსახლებიათ. 1942 წელს აქ ჩამოასახლეს ოჯახები იმერეთიდან, რაჭიდან, ლეჩხუმიდან, სამეგრელოდან და პირველი სკოლის წელთაღრიცხვაც დაიწყო. ამ ფაქტმა ქვემო ქართლის ისტორიულ კუთხეს ახალი სიცოცხლე შთაბერა.

გავიდა დრო და ღირსსახსოვარი მოვლენა მოხდა ბოლნისში – 1950 წლის პირველ სექტემბერს სკოლა ახალ შენობაში გადავიდა და მას დიდი ქართველი მწერალ-დიდაქტიკოსისა და საზოგადო მოღვაწის სულხან-საბა ორბელიანის სახელი ეწოდა.

ბოლნისის ღირსეული შვილები, პირველი სკოლის აღზრდილები არიან: აკადემიკოსები – **ელიზბარ ჯაველიძე**, **ლადო მინაშვილი**, **როინ ქუტიძე**; პროფესორები – **ემილ კოპალიანი**, **ნელი ურუმაშვილი**, **გია პეტრიაშვილი**; მეცნიერი და გამომგონებელი **შალვა დარჯანია**, ადვოკატი **იოსებ ბარათაშვილი**, დიდი ქართველი მაესტრო **ჯანსუღ ჩარკვიანი**, კინორეჟისორი **კარლო ღლონტი**, ოპერის სოლისტი **შოთა ჩაკვეტაძე**, ფეხბურთელი **თამაზ სტეფანია**, პარლამენტარები – **შუქრი დევნოზაშვილი**, **კობა დვალიშვილი**, **გოგი მეშველიანი**, **გურამ ავქოფაშვილი**, **მიხეილ ყაველაშვილი** (ცნობილი ფეხბურთელი); ბიზნესმენები – **თემურ ჭყონია**, **გია კორძაძე**, **გურამ მინდიაშვილი**, **ეფრემ** და **ბესარიონ ურუმაშვილები**, **გიორგი ბუბუტეიშვილი** და სხვები.

1997 წელს პირველად აღინიშნა სკოლის 55 წლის იუბილე, მეორედ, 2002 წელს – 60 წლის გრანდიოზული იუბილე, **ლიანა ხურცილავას** დირექტორობის პერიოდში (1997-2006წწ.), მისივე რედაქტორობით, გამოიცა წიგნი „ბოლნისის პირველი სკოლა – 60“.

2015 წლიდან სკოლას სათავეში ჩაუდგა მოტივირებული და ღირსეული ხელმძღვანელი **ირმა წაქაძე**. სწორედ მისი დამსახურებით აღინიშნა ესოდენ გრანდიოზულად სკოლის 75 წლის იუბილე.

8 დეკემბერს, უჩვეულო მზითა და სითბოთი სავსე დღეს, ბოლნისის კულტურის სახლის სცენაზე, №1 საჯარო სკოლის იუბილის აღსანიშნავი ღონისძიება გაიმართა, რომელსაც ესწრებოდნენ საპატიო სტუმრები თბილისიდან, სკოლის კურსდამთავრებულები, ყოფილი პედაგოგები, ბოლნისის მუნიციპალიტეტისა და სხვადასხვა ორგანიზაციის წარმომადგენლები. ბევრი თბილი და სიყვარულით სავსე სიტყვა ითქვა. გამომსვლელები იხსენებდნენ სკოლასთან დაკავშირებულ ისტორიებს, წამყვანები თანმიმდევრულად და ამომწურავად აცნობდნენ დამსწრე საზოგადოებას სკოლის წარსულსა და თანამედროვეობას.

კულტურის სახლის ფოიეში სკოლის ისტორიის ამსახველი სურათების გამოფენა მოეწყო.

გოგი მეშველიანი, პარლამენტარი: *„დღევანდელი დღე არ მინდა ტრადიციული მილოცვით დავიწყო. მიმაჩნია, რომ უფრო სწორი იქნება, თუ ვისაუბრებ რა მნიშვნელოვანი როლი ითამაშა 75 წლის მანძილზე პირველმა ქართულმა სკოლამ ბოლნისის მუნიციპალიტეტის განვითარებაში, ბევრი ღირსეული თაობა აღზარდა და ამ თაობებში გამორჩეულმა ადამიანებმა გამორჩეული ადგილი დაიკავეს ქვეყნის პოლიტიკურ-კულტურულ-სპორტულ თუ საზოგადოებრივ ცხოვრებაში. ბოლნისის პირველ სკოლას რაღაც განსაკუთრებული ნიშა აქვს, რასაც ასე მარტივად ვერ ახსნი – ძალიან გიყვარს, შენია და თან ძალიან ძვირფასი. ჩემი ეს დამოკიდებულება ალბათ იმის ბრალია, რომ მეც ამ სკოლის კურსდამთავრებული ვარ, მართლაც გამორჩეულია და ანალოგი არ მოეძებნება, ეს პირველი ქართული სკოლაა, როგორც ცოდნის ტაძარი, ადგილი, სადაც ცხოვრების ასპარეზზე პირველ ნაბიჯებს დგამ და თავს იმკვიდრებ საზოგადოებაში.“*

ელიზბარ ჯაველიძე, აკადემიკოსი, მეცნიერი: *„ჩემი ბავშვობა და ყრმობა ბოლნისს და პირველ სკოლას უკავშირდება, ამიტომ ძალიან მიყვარს ეს ქალაქი. აქ ვისწავლე სამშობლოს სიყვარული, მშობლებისა და უფროსების პატივისცემა. ვულოცავ პირველ სკოლას ამ ღირსშესანიშნავ თარიღს.“*

იყო მილოცვები სხვადასხვა ქვეყნებიდან, სადაც ცხოვრობენ და მოღვაწეობენ ჩვენი სკოლის კურსდამთავრებულები. მათ შორის იყო ყოფილი იუსტიციის მინისტრის პირველი მოადგილე **თინა ბურჯალიანი**.

იუბილე დაგვირგვინდა სკოლის 120 მოსწავლისაგან შემდგარი გუნდის (ხელმძღვანელი – **ნინო დვალიშვილი**) მიერ შესრულებული ბოლნისის №1 საჯარო სკოლის ჰიმნით, რომელიც ამ დღისთვის დაიწერა, ტექსტის ავტორები არიან: **ხათუნა ქარაია** და **მანანა შეყილაძე**, ხოლო მუსიკისა – **მამა ბასილ ახვლედიანი**, რომელიც ჩვენი სკოლის მასწავლებელთა და მოსწავლეთა სულიერი მოძღვარია.

ბოლნისის №1 საჯარო სკოლა ბურჯად უდგას მშობლიურ კუთხეს, მამულს, ენას, სარწმუნოებას, ეროვნულ განათლებას. უკვე დაჭარმაგებულ, სამოცდათხუთმეტი წლის, ცოდნისა და აღზრდის ამ ჩინებულ კერას კვლავაც დიდი ვალი ადევს მომავალი საქართველოს წინაშე. მან კვლავაც უნდა აღუზარდოს საქართველოს სახელოვანი, ზნემაღალი მოქალაქეები, თავისი ქვეყნის ერთგული და სასახელო შვილები.

მანანა შეყილაძე
ქალაქ ბოლნისის №1 საჯარო სკოლის პედაგოგი

ღია წერილი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრს, მიხეილ ჩხენკელს

მოგესალმებით, ბატონო მინისტრო!

ის, რაზეც ახლა გწერთ, ძველია, არ ახალია, მაგრამ მაინც გწერთ... მოკრძალებით გწერთ, გწერთ გულისტკივილითა და იმედით... გულისტკივილით დღევანდელი სკოლის გამო, იმედით, რომ რაღაც შეიცვლება განათლების სისტემაში. წერილის დაწერა გია მურღულიას მიერ „ახალ განათლებაში" დასმულმა კითხვამ გამაბედინა. ბატონი გია გულისტკივილით კითხულობს: *„ვინ არის ილია ჭავჭავაძე, მივდევთ თუ არა მის ნაკვალევს, ვიზიარებთ და ვაცნობიერებთ თუ არა მის ნააზრევსა და ნაღვაწს?"* და თავადვე პასუხობს: *„...მეჩვენება, რომ არც დღევანდელ ქართველს აქვს გაცნობიერებული ილიას ფენომენი"*. დიახ, თუ დიდ ილიას მოვუსმენთ და შემდეგ ჩვენს სკოლას გადავხედავთ, დავინახავთ, რომ ბატონი გია მართალია (თუმცა, ბატონი გია სხვა საკითხზე მსჯელობს).

დიდი ილია წერს: *„ზნე-ხასიათის წრთვნა ერთ-ერთი უდიდესი, უაღრესი საგანია სკოლისა. გაადამიანება კაცისა თავი და ბოლოა ყოველგვარი წრთვნისა, ზრდისა და განათლებისა... ამიტომაც თვითონ სწავლა და ცოდნა, რომელსაც სკოლა იძლევა, ისე უნდა იყოს გაანგარიშებული და შერჩეული, რომ ზნე-ხასიათის წრთვნას, ამ ერთადერთ საგანს თავისას გაუძღვეს და მსახურებდეს."*

დღეს კი ეს ,,უაღრესი საგანი" სკოლისა თავმინებებულია. სერტიფიცირების გამოცდამ კარგად გამოავლინა თითოეული მასწავლებლის თეორიული ცოდნა, მაგრამ ერთგვარად დაჩრდილა მისი აღმზრდელობითი ფუნქცია, რაც უმთავრესია სკოლისა და მასწავლებლისთვის. თუმცა, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ მეტად რთულია შეფასების სისტემაში აღმზრდელობითი კომპონენტის შეტანა, სააღმზრდელო შედეგების შემოწმება (მაგრამ, მარტო წრთვნა რას უზამს). ამას შესაფერისად, ალბათ, ვერც სერტიფიცირებულ მასწავლებელთა სქემაში ჩართვა მოახერხებს. ამას სხვა რაღაც უნდა. რა? ალბათ, ღირს ამაზე დაფიქრება.

ყველა ეპოქას თავისი სირთულეები აქვს. ასეა ახლაც – სკოლის მოსწავლეთა დიდი ნაწილი მშობლების ყურადღების გარეშე არიან დარჩენილები (მშობლები ან გვიანობამდე მუშაობენ ან საზღვარგარეთ არიან წასულები. ვერც გაამტყუნებ). სკოლაში მოდიან მოსწავლეები, ტელემანები, სხვადასხვა ინფორმაციით დატვირთულები (ვინ იცის, როგორი), ხშირად აგრესიულები, რომლებიც, ღამეებს კომპიუტერთან ათენებენ და რას უყურებენ, ღმერთმა იცის... ასეთი მოსწავლეების აღზრდას სისტემატური ყურადღება სჭირდება, სჭირდება დრო, რომელიც მასწავლებელს, სამწუხაროდ, არა აქვს. თუმცა, როგორც ყოველთვის, ახლაც არიან მასწავლებლები, ჭეშმარიტი აღმზრდელები, რომლებიც ყველაფრის მიუხედავად ასრულებენ თავიანთ ძირითად მოვალეობას – ისინი ურთიერთნდობის, პატივისცემისა და სიყვარულის გარემოს ქმნიან. მათ ენდობიან მოსწავლეები, რჩევასაც ეკითხებიან და უჯერებენ კიდეც, ზოგჯერ უფრო მეტად, ვიდრე მშობლებს. ასეთი ერთეული შემთხვევებია. სკოლას კი, ალბათ, ერთიანი სააღმზრდელო ატმოსფეროს შექმნა სჭირდება, სჭირდება სამართლიანი სიმკაცრე და მოთხოვნა, დისციპლინა და თავისუფლება განათლებაში. იქნებ, ისევ აღდგეს საალმზრდელო დარგის ხელმძღვანელის შტატი. ამ მიმართულებით გაიზარდოს კლასის ხელმძღვანელის ფუნქციები, შეძლებისდაგვარად ჩავრთოთ მშობლებიც.

იქნებ, უფრო მეტი ყურადღება მიექცეს ფიზიკურ და შრომით აღზრდასაც. ყველა ადამიანს სჭირდება ფიზიკური სიძლიერე, შრომის სიყვარული, ამტანობის გამომუშავება, მამაცობა, წესრიგის სიყვარული, მორჩილება და ნდობა აღმზრდელისა, მშობლისა.

როგორ თანადროულად ჟღერს დიდი ილიას სიტყვები: *„ახლანდელი სკოლა მარტო იმის ცდაშია, რომ ასწავლოს მარტო ცოდნისა და სწავლისათვის და არა კაცის გაადამიანებისათვის, ამიტომაც არც კაცად ვარგობენ ახლანდელი ყმაწვილები და არც იმათის სწავლა-ცოდნით გამოდის რამე."*

მართალია ბატონი გია მურღულია. ჩვენ, მასწავლებლებმა, უნდა გავიაზროთ, გავიცნობიეროთ დიდი ილიას ნააზრევი და ნაღვაწი და მივყვეთ მის გზას. მასწავლებლისთვის ცნობილ 9 გზავნილს მეათესაც დავუმატებდი: მოსწავლის აღზრდა, გაადამიანება კაცისა, ჩემი უპირველესი მოვალეობაა.

ბატონო მინისტრო, არ ვიცი, წაიკითხავთ თუ არა ამ წერილს, მაგრამ დიდი სიყვარულითა და იმედით დავწერე.

ღმერთმა ყველა საქმე კარგად წარგიმართოთ ჩვენი მომავლის საკეთილდღეოდ, გაგაძლიეროთ!

ნანა ბარჯაძე-მიხანაშვილი
ჯავახეთი, ნინოწმინდის მუნიციპალიტეტი, განძის რუსთაველის სახელობის მე-2 საჯარო სკოლა, სახელმწიფო პროგრამის „ქართული ენა მომავალი წარმატებისთვის" მონაწილე მასწავლებელ-კონსულტანტი

სასკოლო აქტივობა

მზე ჩასვლის შემდეგაც რჩება მნათობად...

მშობლები ბავშვის დაბადებამდე იწყებენ იმაზე ფიქრს, რა დაარქვან შვილს, დიდხანს არჩევენ სახელებს, ყველას უნდა მეფეების, დედოფლების, გმირებისა და საერთოდ ცნობილი ადამიანების სახელს ატარებდეს მისი მემკვიდრე, მაგრამ ცოტა თუ ფიქრობს იმაზე, იქნება კი მისი შვილი ამ დიდებული სახელის ტარების ღირსი. დიახ, როგორც გოდერძი ჩოხელი ამბობს, „სახელი ალამაზებს ადამიანს და ადამიანი ალამაზებს სახელს".

ჩვენც, სსიპ ილია ჭავჭავაძის სახელობის ქალაქ ფოთის №5 საჯარო სკოლის დირექცია, მასწავლებლები და მოსწავლეები, ვცდილობთ, ვიყოთ ამ სახელის ტარების ღირსი, ეს ხომ ჯილდოსთან ერთად დიდი ტვირთიცაა.

„ბევრი ილაპარაკეთ, ბევრი წერეთ, ბატონებო, ილიაზე, რაც შეიძლება ბევრი!" – ვაჟა-ფშაველას ამ სიტყვების მნიშვნელობა ძალიან კარგად გვესმის მეხუთესკოლელებს, მაგრამ მარტო სიტყვები როდი კმარა, მთავარი ხომ, როგორც ილია თვლიდა, საქმეა, ამიტომაც ვაქციეთ სიტყვები საქმედ.

სსიპ ილია ჭავჭავაძის სახელობის ქალაქ ფოთის №5 საჯარო სკოლაში, 2017-2018 სასწავლო წლის 4-8 დეკემბერს, გაიმართა ილია ჭავჭავაძის დაბადებიდან 180 წლის იუბილესადმი მიძღვნილი კვირეული, რომლის ფარგლებშიც დაგეგმილი იყო ღონისძიებები: სასწავლო შემოქმედებითი პროექტი „ილია – საქართველოს თანამდევი უკვდავი სული" (ავტორები: **ნინო კილასონია**, **ლელა ქვარცხავა**); ვიქტორინა-კონკურსი (VIIა კლასი, ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი – **ლეილა ხონელიძე**); მინი-სპექტაკლი „მოძღვრისეული სიბრძნე" – ნაწყვეტი „გლახის ნაამბობიდან" (V^{3} კლასი, ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი – **სოფიო სალია**); ჩატარდა რამდენიმე კონკურსი – ესეს წერის, ნორჩ მხატვართა და მხატვრული კითხვის.

ესეს წერის კონკურსი V-VIII და IX-XI კლასების მოსწავლეებს შორის გაიმართა. პროექტში მონაწილე მოსწავლეებს ადგილზევე უნდა დაეწერათ ესეები თემებზე: „მამულო საყვარელო, შენ როსღა აყვავდები?!" (V-VIII კლასები) და „ილია დღეს" (IX-XI კლასები).

კვირეულის ერთი დღე ნორჩ მხატვართა კონკურსს დაეთმო. მოსწავლეებს ადგილზევე უნდა შეექმნათ კომიქსები ილია ჭავჭავაძის შემოქმედებიდან. კონკურსი სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების მასწავლებლებმა შეაფასეს. გამარჯვებული მოსწავლეები დაჯილდოვდნენ.

„მაშინ ვიმღერ, მხოლოდ მაშინ..." – ასე დავარქვით მხატვრული კითხვის კონკურსს, რომელშიც V-X კლასების მოსწავლეები მონაწილეობდნენ. ამ აქტივობას ბავშვები განსაკუთრებული პასუხისმგებლობით მოეკიდნენ. ჟიურის გაუჭირდა საუკეთესოთა შერჩევა. თუმცა, კონკურსის წესების თანახმად, მაინც გამოვლინდნენ გამარჯვებულები, რომლებიც სიგელებითა და დიპლომებით დაჯილდოვდნენ.

ნორჩ მსახიობებად მოგვევლინენ V^{3} კლასის მოსწავლეები – მათ წარმოადგინეს ნაწყვეტი ილია ჭავჭავაძის „გლახის ნაამბობიდან". მინი-სპექტაკლი, რომელიც შინაარსობრივად საინტერესო და დახვეწილი იყო, ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელმა, **სოფიო სალიამ** მოამზადა.

ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელმა, **ლეილა ხონელიძემ**, კვირეულის ფარგლებში, VII^{ა} კლასში, ჩაატარა ვიქტორინა-კონკურსი. ორ გუნდად გაყოფილი მოსწავლეები ერთმანეთს ილიას ბიოგრაფიისა და შემოქმედების ცოდნაში ეჯიბრებოდნენ. მათ წარმოადგინეს ხელნაწერი გაზეთების პრეზენტაცია, ხოლო კლასის ნორჩმა მხატვრებმა, კონკურსის მსვლელობისას, ადგილზევე, შექმნეს ილუსტრაციები ილიას ნაწარმოებების მიხედვით.

კვირეულის დასრულებისთანავე გამარჯვებული მოსწავლეები სიგელებით დაჯილდოვდნენ.

ვფიქრობთ, აღნიშნულმა პროექტმა ხელი შეუწყო მოსწავლეებში შემოქმედებითი ნიჭის გამოვლენასა და დამოუკიდებელი, შემეცნებითი აზროვნების განვითარებას. რადგან 2017 წელი ილია ჭავჭავაძის საიუბილეო წელი იყო, ხოლო ჩვენი სკოლა ილია ჭავჭავაძის სახელობისაა, პროექტის თემატიკა ილიას სახელს დავუკავშირეთ. მისი შემოქმედებისადმი მიძღვნილი ღონისძიება მოსწავლეთათვის სტიმული იყო, რომ მოიძიონ და შეისწავლონ დიდ მოღვაწეთა ცხოვრება და შემოქმედება. მოსწავლეებში გავზარდეთ ინტერესი ილია ჭავჭავაძის ცხოვრებისა და შემოქმედების მიმართ. ისინი არა მხოლოდ გაეცნენ და ჩაუღრმავდნენ, არამედ, ხალისით მოეკიდნენ საგანმანათლებლო, შემოქმედებით და შემეცნებით აქტივობებს, რომლებიც პროექტის ფარგლებში განხორციელდა.

ლელა ქვარცხავა,
ნინო კილასონია
სსიპ ილია ჭავჭავაძის სახელობის ქალაქ ფოთის №5 საჯარო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლები

სამოდელო გაკვეთილი

ქიმიის და ბიოლოგიის ინტეგრირებული გაკვეთილი

გაკვეთილის თემა: „ცილების ქიმიური თვისებები, ცილების ფუნქციები“
სწავლების საფეხური და კლასი: საშუალო/XI კლასი (18 მოსწავლე)
სამუშაოს ეთმობა ერთი გაკვეთილი (45 წთ)
ბიოლოგიის პედაგოგი – ნატა ბიჭიკაშვილი

გაკვეთილის მიზნები და მისაღწევი შედეგები:

შესაბამისობა სტანდარტთან:

ბიოლ.X.5. მოსწავლეს შეუძლია იმსჯელოს უჯრედში მიმდინარე პროცესებზე და დაასაბუთოს მათი მნიშვნელობა ორგანიზმისათვის.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

• ასაბუთებს უჯრედის შემადგენლობაში შემავალი არაორგანული და ორგანული ნივთიერებების აუცილებლობას ორგანიზმისათვის;

• ილუსტრაციის და/ან მოდელის საშუალებით აჩვენებს ბიოპოლიმერების აგებულებებს შორის მსგავსებასა და განსხვავებას, მსჯელობს მათ მნიშვნელობაზე თითოეული უჯრედისათვის და მთელი ორგანიზმისათვის;

• ატარებს ცდებს და ავლენს კატალიზური პროცესების ინტენსივობის დამოკიდებულებას ზოგიერთ ფაქტორზე *(მაგ., ტემპერატურა, pH)*, მონაცემებს გამოსახავს გრაფიკულად და აანალიზებს შედეგებს.

ქიმ.XI.5. მოსწავლეს შეუძლია ორგანული ნაერთების დახასიათება, მათი მნიშვნელობის შესახებ მსჯელობა.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

• აკავშირებს ორგანული ნაერთების თვისებებს მათ შედგენილობაში შემავალ ფუნქციურ ჯგუფთან;

• ორგანული ნაერთების სპეციფიკურ თვისებებს ხსნის მათ მოლეკულაში შემავალ ატომთა ან ატომთა ჯგუფების ურთიერთგავლენით.

კვლ.XI.2. მოსწავლეს შეუძლია კვლევითი პროცედურის განხორციელება/მონაცემების აღრიცხვა.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

• იყენებს შესაბამის მასალას ან/და აღჭურვილობას და ატარებს დაგეგმილ ცდას უსაფრთხოების წესების დაცვით;

• აწარმოებს დაკვირვებას და/ან გაზომვებს, იღებს სარწმუნო მონაცემებს.

წინარე ცოდნა: ორგანული ნივთიერებების – ცილების – აღნაგობის ცოდნა, ცოცხალი ორგანიზმებისთვის ცილების ფუნქციების ცოდნა.

სასწავლო რესურსები: ქიმიის და ბიოლოგიის სახელმძღვანელოები, პროექტორი, კომპიუტერი, მასალა და აღჭურვილობა ექსპერიმენტების ჩასატარებლად (ეთილის სპირტი, კვერცხი, აზოტმჟავა), ფიალები, 100მლ ჭიქები, რეზინის ხელთათმანები. წინასწარ მომზადებული პრეზენტაცია (Power point-ში).

გაკვეთილის თემა:
ცილების აგებულება, თვისებები, მნიშვნელობა ცოცხალი ორგანიზმებისთვის

მიზანი: გაკვეთილის ბოლოს მოსწავლეები შეძლებენ იმსჯელონ ცილების სტრუქტურაზე, ქიმიურ თვისებებზე. ცილების აგებულებას და თვისებებს დაუკავშირებენ მათ ფუნქციებს ცოცხალ ორგანიზმებში. გამოუმუშავდებათ ინტეგრირებული უნარ-ჩვევები – გააცნობიერებენ სამყაროში მიმდინარე პროცესების ერთიანობას, დააკავშირებენ ერთმანეთთან ქიმიურ და ბიოლოგიურ პროცესებს. იმსჯელებენ ცილების დენატურაციაზე მოქმედი ფაქტორების შესახებ, გააანალიზებენ ცილების მნიშვნელობას კვებით რაციონში.

მისაღწევი შედეგები: მოსწავლეს შეუძლია გააანალიზოს ცილების მნიშვნელობა ცოცხალი ორგანიზმებისთვის, აცნობიერებს სამყაროში მიმდინარე პროცესების ერთიანობას, იყენებს ცოდნას სხვადასხვა დისციპლინებიდან (ქიმია, ბიოლოგია), ახასიათებს ცილების ფიზიკურ და ქიმიურ თვისებებს, მსჯელობს ცილების ორგანიზმში მეტაბოლიზმის შესახებ.

ინდიკატორები: აანალიზებს ცილების მნიშვნელობას ცოცხალ ორგანიზმებში მიმდინარე პროცესებში; გეგმავს და ატარებს შესაბამის ექსპერიმენტებს. ასახელებს ცილების ფიზიკურ და ქიმიურ თვისებებს, გეგმავს და ატარებს შესაბამის ექსპერიმენტებს, გამოაქვს შესაბამისი დასკვნები.

სწავლების სტრატეგიები: განწყობის შექმნა, ინფორმაციის გახსენება, შეჯამება, დასკვნების გამოტანა; ისტ-ის გამოყენება; თანამშრომლობითი სწავლება, საკუთარი აზრის დაფიქსირება. საკლასო დისკუსია, ლექცია, ასოციაციური რუკის შექმნა, ექსპერიმენტი, ჩანაწერების გაკეთება.

გაკვეთილის სცენარი

შესავალი: მოსწავლეებისთვის გაკვეთილის თემის და გეგმის წარდგენა



A ფაზა – გამოწვევა

აქტივობა 1. განწყობის შექმნა (2წთ).

მოსწავლეები, 2 წუთის განმავლობაში, ასახელებენ მათ საყვარელ ცილების შემცველ კერძებს.

შემდეგ, მონიტორზე გამოდის წინასწარ მომზადებული პრეზენტაციის მეოთხე სლაიდი, მოსწავლეები პასუხობენ სლაიდზე მოცემულ შეკითხვას (1წთ).

B ფაზა – შინაარსის რეალიზება

აქტივობა 2. ასოციაციური რუკის შექმნა (რა ვიცით ცილების შესახებ?) (3წთ).

სიღრმისეული წვდომა



































აქტივობა 3. მინი-ლექცია + მოსწავლეთა ინტერაქცია (5წთ).

• ცილების შედგენილობა
• ცილების ფიზიკური თვისებები
• ცილების ქიმიური თვისებები
• ცილების ფუნქციები

აქტივობა 4. ჯგუფური ექსპერიმენტები: ცილების თვისებების გამოკვლევა (7წთ). ინსტრუქციები ექსპერიმენტების შესახებ გამოდის მონიტორზე.

სამუშაოს დასრულების შემდგომ მოსწავლეები იმსჯელებენ ექსპერიმენტის შედეგების შესახებ, გამოიტანენ დასკვნებს.

აქტივობა 4. სადემონსტრაციო ცდა – ქსანტოპროტეინის რეაქცია (თვისებითი რეაქცია ცილებზე).

სამოდელო გაკვეთილი

მასწავლებელი ატარებს ექსპერიმენტს, მოსწავლეები აკვირდებიან მიღებულ შედეგს, გამოაქვთ დასკვნები(3წთ).

მინი-ლექცია (3წთ).

ცილების ფუნქციები ცოცხალი ორგანიზმებისთვის



აქტივობა 5. საკლასო დისკუსია: რა მოხდება, თუ ორგანიზმში ცილების ნაკლებობა იქნება? და „რას მოგვიტანს ცილების ჭარბი მოხმარება?“ (6წთ).
აქტივობა 6. ცილების შესახებ ანიმაციის ჩვენება (4წთ).
C ფაზა – რეფლექსია, ანუ გააზრება
აქტივობა 7. კითხვებზე პასუხი, სურათებზე გამოსახული ცილების ფუნქციის ამოცნობა (6წთ).
მოსწავლეებთან ერთად ხდება გაკვეთილის რეფლექსია – გაკვეთილის შეჯამება კითხვებზე პასუხით.
1. რომელი ნივთიერებებისგან არის აგებული ცილები?
2. როგორი აგებულება აქვთ ამინომჟავებს?
3. როგორია ცილების პირველადი, მეორეული, მესამეული და მეოთხეული სტრუქტურა?
4. როგორია ცილების ქიმიური თვისებები?
5. რომელი რეაქციით აღმოვაჩენთ ცილას? (თვისებითი რეაქცია)
6. ჩამოთვალეთ ცილების ფუნქციები ცოცხალი ორგანიზმებისთვის.
მოსწავლეები აჯამებენ გაკვეთილს: რა იყო ახალი მათთვის, რა ისწავლეს, რა რეკომენდაციები აქვთ მომავალში ასეთი ტიპის გაკვეთილების ჩატარების შემთხვევაში. რისი გაგება სურთ მომავალში (2 წუთი).
საშინაო დავალება (1წთ).
დამატებით მოიძიონ ინფორმაცია ცილების შესახებ.
შეფასება (2წთ).
განმავითარებელი, საკლასო მუშაობის მიხედვით.

თარიღი:	ექსპერიმენტის შეფასება							
მოსწავლე	შეფასების კრიტერიუმები							
	კვლევის მიზნის განსაზღვრა 0-2	საჭირო ინვენტარის განსაზღვრა 0-1	კვლევის შედეგის ვარაუდი 0-1	კვლევის მიმდინარეობის აღწერა 0-2	მონაცემების აღრიცხვა 0-1	მონაცემთა ანალიზი 0-2	დასკვნის გამოტანა 0-1	ქულათა მაქსიმალური რაოდენობა 10
1.								
2.								
3.								

სასკოლო აქტივობა

საჯარო სკოლა და პრიორიტეტები
საახალწლო ჩანაწერები

ქუთაისის №8 საჯარო სკოლამ ახალი წლის შესახვედრად სამზადისი ადრიდანვე დაიწყო. ამ მიზნით სკოლის ვესტიბიულში დაიდგა ულამაზესი ნაძვის ხე, რომელსაც გვერდი დაუმშვენა გიგანტურმა თოვლის ბაბუამ. კლასები დამოუკიდებლად, ჯერ საკლასო, ხოლო შემდეგ სასკოლო ზეიმში მონაწილეობით, ცდილობდნენ თავის გამოჩენას. კლასებს შორის გამორჩეული იყო მე-3 კლასის სადღესასწაულო ღონისძიება (კლასის დამრიგებელი – **ნანა რობაქიძე**), სადაც მოსწავლეებმა წარმოადგინეს „საახალწლო ზღაპრის“ ინსცენირება. წარმოდგენის მიმდინარეობის დროს, ყველასათვის მოულოდნელად, საკლასო ოთახის კარი შემოაღო ამავე კლასის სსსმ მოსწავლე **ნინო ცხადაძემ** (იგი საავადმყოფო ფურცელზე იმყოფებოდა), რომელიც თეთრ სადღესასწაულო კაბაში გამოწყობილი, თეთრი ფიფქების გვირგვინით შემკობილი, მართლაც ზღაპრის მთავარ მოქმედ გმირს – დედოფალს ჰგავდა. ნინომ დამსახურებულად შეიფერა ფიფქიას როლი... იგი მოულოდნელად ცოცხალ წრეში აღმოჩნდა და სიხარულით აქეთ-იქით აწყდებოდა წრის „ზღუდეებს“, ცდილობდა თავის დაღწევას, მაგრამ ვერ ახერხებდა, რადგან მის ამხანაგებს მისი სიყვარულის ნიშნად მტკიცედ „შეეკრათ” იგი. ყველა ბედნიერი იყო... თავდავიწყებამდე მისული ნინო კი, შთაგონებული სახით, აქეთ-იქით აელვებდა ლამაზ თაფლისფერ თვალებს და ამაღლებული გრძნობებით ღებულობდა მისთვის საგანგებოდ შერჩეულ საჩუქრებს... იღიმოდა, ცეკვავდა და ბედნიერად გრძნობდა თავს

საკლასო ღონისძიებების შემდეგ, რომელიც თითქმის ყველა კლასში წარმატებით ჩატარდა, ასპარეზი სკოლის დასკვნით საახალწლო კარნავალს დაეთმო. ღონისძიებას ხელმძღვანელობდა უცვლელი „პროდიუსერი“, ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი **მედეა გოქაძე**, რომელსაც გამორჩეულად შესწევს უნარი, ყოველ წელს, მოამზადებინოს მოსწავლეებს იდეურად დატვირთული საინტერესო საღამოები, ამიტომაც მას დახმარებისათვის ხშირად მიმართავენ ბავშვები.

დადგა „დღე ბედნიერი“ – 29 დეკემბერი, საზეიმოდ მორთულ სკოლის სააქტო დარბაზში საგანგებოდ გაწყობილი მაგიდების ირგვლივ შემომსხდარიყვნენ საღამოში მონაწილე მოსწავლეები. მათ გვერდს უმშვენებდნენ: მხარდამჭერი აღსაზრდელები, კლასის დამრიგებლები, სკოლის დირექციის წარმომადგენლები – დირექტორი **თეა ჩხეტია**, დირექტორის მოადგილე **მალვინა ლაღიძე**, პედაგოგები და მშობლები.

სადღესასწაულო საღამოზე „სკოლის ილუზიონისტმა“ და „ჯადოქარმა“, მე-6 კლასის მოსწავლე **დავით ადეიშვილმა** საკუთარი შესაძლებლობები გამოავლინა და ბავშვებისთვის საყვარელი ზღაპრებიდან – „მერი პოპინსი“, „მოხეტიალე მუსიკოსები და ფერიები“ – გმირები განასახიერა. შემდეგ თითოეულმა კლასმა წარმოადგინა მხიარული ნომრები, ღონისძიებას საინტერესოდ უძღვებოდნენ მერვეკლასელები – **დოდოშკა ჯოხაძე** და **რეზო სიმსივე**. დღესასწაულის მონაწილეებს ახალი წელი მიულოცა სკოლის დირექტორმა და საპატიო სიგელები გადასცა სხვადასხვა ნომინაციებში გამარჯვებულ წარმატებულ მოსწავლეებს.

მოულოდნელად გაისმა მუსიკის ხმა, ფართოდ გაიღო სააქტო დარბაზის კარები და გამოჩნდა თოვლის ბაბუა ხურჯინით, რომელიც მომაჯადოებელი ხმით მღეროდა:

„ახალი წლის ღამეა და ყველა ელის ერთს...
ზოგი ნატრობს სიმდიდრეს და
ზოგი კიდევ მეტს,
აქ სიყვარულს მოელიან,
ჯანმრთელობას მხნეს,
ცხოვრებისგან მინიჭებულ
ალალ-მართალ ბედს“...

სახეზე ყველას სიხარული და სიყვარული ჰქონდა აღბეჭდილი, რადგან ეს ხმა მათთვის ნაცნობი იყო... სულგანაბული უსმენდნენ... თოვლის ბაბუას სამოსში გამოწყობილ მომღერალს სულ მალე მთელი დარბაზი აჰყვა, მღეროდა მთელი სკოლა...

„ცარიელი ბეღელ-კარი ამოვსებოდეს,
ლხინი აქვს თუ გაჭირვება ემღერებოდეს...
საახალწლო დალოცვები არ მოკლებოდეს...
ახალი წლის ღამეა და ყველა ელის ბედს...“

გულში ჩამწვდომ სიმღერას მაყურებლის მქუხარე ტაში მოჰყვა, ისმოდა აპლოდისმენტები და შეძახილები: „გუგა, გუგა, გუგა, გაუმარჯოს ჩვენს გუგას !“

გუგას სკოლაში ყველა ასაკის მოსწავლე იცნობს და ყველას უყვარს. იგი მე-8 კლასის სსსმ მოსწავლე **გურამ ჯეგბაშვილი** გახლავთ. მას გამორჩეული წკრიალა ხმა აქვს და ლამაზი სიმღერებით ხშირად აჯილდოებს ხოლმე მსმენელებს.

სკოლის სააქტო დარბაზში მსხდომთ ამაღლებული განწყობა დაეუფლათ... მათ შორის ქალბატონ თეა ჩხეტიას და სკოლის პედაგოგებს, მაგრამ მსმენელთა შორის განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობდნენ გამორჩეულად მსხდომი ქალბატონი და მამაკაცი, რომელთაც სახეზე იმედის სხივი ჰქონდათ მოფენილი, ხოლო თვალებში სიხარულის ცრემლები უციმციმებდათ... ეს გუგას დედ-მამა – ქალბატონი **ნანა შალიკიანი** და ბატონი **რომან ჯეგბაშვილი** იყვნენ.

საღამოს დამთავრების შემდეგ ძალიან ბედნიერი იყო გუგა, იცინოდა, ხალისობდა და ყველას გაბრწყინებული თვალებით შესცქეროდა...

კიდევ ერთხელ ვრწმუნდები, რომ აღმზრდელთა ხელშია სსსმ მოსწავლეთა სწორად აღზრდისა და საზოგადოებაში ინტეგრირების ბერკეტი. კიდევ ერთხელ იმაშიც ვრწმუნდები, რომ „შეზღუდული შესაძლებლობები არ არსებობს“, რომ „შესაძლებლობები შეუზღუდავია“.

მზია ზარნაძე
სსიპ ქალაქ ქუთაისის №8 საჯარო სკოლის პედაგოგი

თვალსაზრისი

ურემი რომ გადაბრუნდება, გზა მაშინ გამოჩნდებაო

ვაი, რომ ურმის გადაბრუნებას ბევრი აღარ აკლია (თუ უკვე არ გადაბრუნდა) და გზა მაინც არ ჩანს. ამ მოკრძალებული წერილით არ ვაპირებ ისეთი რამის თქმას, რაც ყველას საფიქრალი და საწუხარი არ არის. უბრალოდ, ჩემს ხმას შევუერთებ მრავალთ ხმას და უფრო ბევრნი ვიქნებით, ვისაც ქვეყნის მომავალი პირადულზე მეტად მიუტანია გულთან და მთავარ საფიქრალად გაუხდია.

როგორც ყველა, მეც ამაფორიაქა მომხდარმა ტრაგედიამ, რომლის შემზარავ სურათს ყოველ საღამოს, ძილის წინ კიდევ გვახსენებენ. ილიასი არ იყოს, დღეს არა გვაქვს მშვიდი და უშფოთველი ძილის მორალური უფლება.

როგორც თითოეული თქვენგანის, ჩემი გონებაც განუწყვეტლივ ერთი კითხვის გარშემო ტრიალებს:

სად არის გზა ხსნისა?

ცივილიზებული სამყაროს ნაწილად ქცევა რომ ჯერ კიდევ ჩვენი წინაპრების ოცნება იყო, ამაში ეჭვი არავის ეპარება, არც დემოკრატიაა ჩვენთვის უცხო ხილი და არც მსოფლიო ხალხთა მეგობრობა. ყოველივე ამის დასტურია ჩვენი მრავალსაუკუნოვანი ლიტერატურა, ამას ვასწავლით ბავშვებს და ხაზს ვუსვამთ ჩვენი ერის დემოკრატიულ თვითშეგნებას: *„ჩვენის წინაპრის გონებას ადრევე გადუწყვეტია, რომ სამსახვროში ისა სჯობს, მსაჯული რაც რომ მეტია“* (აკაკი). მაგრამ ჩვენთვის არავის უბრძანებია, რომ ჩვენს საკუთარ მონაპოვარზე ხელი ავიღოთ და უცხოს ვეზიაროთ.

სიტყვამ გამიტაცა და სათქმელი გამიგრძელდა. დღეს ქვეყანაში, უდავოდ, ბევრი რამ კეთდება (ყოველ შემთხვევაში, არის მცდელობა დაიხვეწოს განათლების სისტემაც და დაუახლოვდეს ევროპულ სტანდარტებს), მაგრამ მთავარი საზრუნავი – მოზარდი – ვერ მოექცა ყურადღების ცენტრში. მახსენდება დიდი გალაკტიონის „ქალაქში, მტვერში, წაიქცა ბავშვი“. ასე მგონია ის სულმნათი დღევანდელობას ეხმიანებოდა და გვაფრთხილებდა. არა მგონია, იყოს მშობელი ან პედაგოგი, რომელსაც არ უნდოდეს სრულყოფილი, განათლებული ბავშვების აღზრდა. მაშ, რა გვიშლის ხელს?! ვფიქრობ, მთავარი მაინც სახელმწიფოა. თუ არ გაუმჯობესდა ქვეყანაში საყოფაცხოვრებო პირობები, ვერც მშობელი და ვერც პედაგოგი ვერ მიაღწევს მიზანს. ბავშვს მეტი სიყვარული და თანადგომა სჭირდება.

დღეს სკოლაში საგნის მეცნიერულ შესწავლაზეა ძირითადი აქცენტი გადატანილი, მაგრამ ნაკლები ყურადღება ექცევა ბავშვის სულიერ განვითარებას, რაც სრულფასოვანი პიროვნების ჩამოყალიბებისათვის აუცილებელი პირობაა. ვფიქრობ, კარგი იქნება სკოლებში აღდგეს რელიგიის სწავლება. დარწმუნებული ვარ, სიყვარულით გაუთბობს ჩვენს მოზარდს გულს და დაეხმარება სულიერი სიმტკიცისა და წონასწორობის ჩამოყალიბებაში.

ორიოდე სიტყვით მინდა შევეხო მასმედიას, რომელიც ერთი და იმავე, სულისა და გულისათვის უსარგებლო, თემებს გვთავაზობს და განიხილავს.

და რაც მთავარია, ჩვენს მშობლებს, დიდი სურვილის მიუხედავად, ვერ მიუწვდებათ ხელი პედაგოგიურ განათლებაზე, ამ მიზნით სკოლაში ასეთი ტრადიცია გვაქვს – ვთავაზობთ აქტუალურ თემებს და ვიზიარებთ ერთმანეთის გამოცდილებას. ჩემს ბავშვობაში გამოდიოდა გაზეთი „მცხეთა“, დიდი ტირაჟით, რომელიც ყველა ოჯახს ჰქონდა გამოწერილი. ამ გადასახედიდან რომ ვაფასებ, ეს გაზეთი ძალზე დიდ საქმეს აკეთებდა მშობელთა პედაგოგიზაციის მხრივ. ახლაც გამოდის იმავე დასახელების გაზეთი, რომელსაც შესანიშნავი გულისხმიერი ქალბატონი რედაქტორობს, მაგრამ ტირაჟი მცირეა და ყველა ოჯახამდე ვერ აღწევს.

შევეცადე, ჩემი ვარაუდი და პოზიცია გადმომეცა თქვენთვის. რამდენად შევძელი, ეს თქვენ განსაჯეთ. მე მაინც კიდევ მინდა ხაზი გავუსვა იმ აზრს, რომ დღეს, ისე, როგორც არასდროს, გვჭირდება ვიმოქმედოთ გონივრულად. მოვუსმინოთ ერთმანეთს, გავითვალისწინოთ ერთმანეთის აზრი, ხედვა და შევიმუშაოთ სამოქმედო პროგრამა. არ იქნება ცუდი გადავხედოთ უწმინდესის ილია II-ის ქადაგებებსა და განსაკუთრებით ეპისტოლეებს, რომლებშიც მოკრძალებით, მაგრამ მეტად გონივრულად, შეგვაგონებს დიდ სიბრძნეს თითქმის ყველა საჭირბოროტო და სადავო საკითხზე.

თვალს ვავლებ წმინდა ილია მართლის პუბლიცისტურ წერილებს და მგონია, დღეს ის ჩვენ გვერდითაა და ჩვენი რეალობით შეძრწუნებული გვაფრთხილებს: *„უზარმაზარი თხრილია ჩვენ, ქართველების წინ და აინუნშიაც არ მოგვდის. ამ თხრილის პირას ვდგავართ და საკმაოა ხელი გვკრან და შიგ გადავიჩეხებით დედაბუდიანად. ორბი, არწივიც კი ვერღა გვიპოვის, ვეღარ დასწვდება ჩვენს ძვლებს, რომ გამოხრან, გამოსწინწკნონ, ისეთი ღრმაა ეს თხრილი, ისეთი უძირო“.*

გვინდა, არ გვინდა გლობალიზაცია გარდაუვალია. ეს კი ყველაზე მეტ საშიშროებას პატარა ერებს უქადის. დღეს უფრო მეტად გვჭირდება ქრისტესმიერი სიყვარულით გამთლიანება და ქვეყნის სახელმწიფოებრივი სიმტკიცე, რათა ვიზრუნოთ ეროვნული ტრადიციებისა და ზნეობრივი სიწმინდის შენარჩუნებისათვის, რომ არ გავხდეთ მსოფლიო გლობალიზაციის მსხვერპლნი და ჩვენი ეროვნული საუნჯით ხელდამშვენებულნი მივუსხდეთ მსოფლიო გლობალიზაციის სუფრას, მაშინ კი მართლა ვერაფერს დაგვაკლებს „ბჭენი ჯოჯოხეთისანი“.

მერი ცულოშვილი
მცხეთის რაიონის სოფელ ძალისის
საჯარო სკოლის
ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი

სასკოლო აქტივობა

სიკეთე გადამდებია

ყვარლის მუნიციპალიტეტის სოფელ გავაზის საჯარო სკოლა უამრავი კეთილი საქმისა და აქტივობის განმახორციელებელი სკოლაა. მათ შორის გამოვარჩევთ სულ ახლახან ჩატარებულ, ტრადიციად დამკვიდრებულ ღონისძიებას – „მადლიერების დღის“ აღნიშვნას. ღონისძიების აქტივობები პერიოდულად იცვლება. თავდაპირველად, რამდენიმე წლის განმავლობაში, სურვილისა და შესაძლებლობების მიხედვით, მოსწავლეები ამზადებდნენ ხელნაკეთ, ლამაზად გაფორმებულ ღია ბარათებს, სუვენირებს და ჩუქნიდნენ თანაკლასელებს, თანასკოლელებს, პედაგოგებს, დირექციას, მშობლებს, სოფლის მოძღვარს, ყველას, ვის მიმართაც სურდათ გულწრფელი მადლიერების გამოხატვა.

ბოლო წლებში, სკოლის მოსწავლეთა თვითმმართველობის ინიციატივით, დამკვიდრდა სპეციალურად ამ დღისათვის განსხვავებული აქტივობა – სურვილის მიხედვით, მოსწავლეები და მასწავლებლები შეკრებენ სურსათ-სანოვაგეს, რომელიც ლამაზად იფუთება პოლიეთილენის პარკებსა და მუყაოს ყუთებში და გადაეცემა სოფლის უკიდურესად გაჭირვებულ ოჯახებს.

ტრადიცია არც ჩვენ, ახლად არჩეულმა თვითმმართველობის წევრებმა დავარღვიეთ. კვლავ დიდი აქტიურობით ჩავერთეთ საქმიანობაში. კლასის დამრიგებლებთან ერთად შევფუთეთ სანოვაგე, გადავინაწილეთ ოჯახები და ხალისით გავემართეთ ხელმოკლე ოჯახებისკენ. არც სკოლის პედაგოგები და დირექცია დარჩენილან ვიზიტის გარეშე. მათ, ჩვენთან ერთად, მოინახულეს სკოლის ყოფილი პედაგოგი და დირექტორი, 87 წლის უსაყვარლესი, ვენერა (კეწელაშვილი) მასწავლებელი, რომელიც მარტოხელაა და წლების განმავლობაში ლოგინადაა ჩაწოლილი... მას დამხმარე ქალბატონი ემსახურება. არასოდეს დაგვავიწყდება მისი სიხარულის ცრემლებით სავსე თვალები, ფართოდ გაშლილი ხელები და გულში ჩახუტება, როცა მივდივართ და ცრემლებით დანამული სახე, როცა ვემშვიდობებით.

მიმდინარე წლის „მადლიერების დღეს“ ერთი განსხვავებული აქტივობა შევმატეთ. სკოლის დირექტორმა მოგვაწოდა იდეა და ამჯერად, ვესტუმრეთ საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოების ყვარლის სოციალური ცენტრის (ხელმძღვანელი – ქალბატონი ია ბეჟანიშვილი) ბენეფიციარ მოხუცებს. შეხვედრა იმაზე მეტად ამაღელვებელი აღმოჩნდა, ვიდრე წარმოვიდგენდით. ცენტრში მისულებს „ტკბილად მომღერალი“ ბებოების ხმა ფიანდაზად გადაგვეფინა. სიხარულის ცრემლები მოგვადგა თვალზე... გავიცანით ბებოები, რომელთაც მოძრაობა შეეძლოთ, ხოლო მათ, ვინც უმწეოები იყვნენ, თვითონ ვესტუმრეთ ოჯახებში ჩვენი ნობათით. არა მხოლოდ ბენეფიციარმა მოხუცებმა, არამედ ახლოს მცხოვრებმა მეზობლებმაც დიდი მადლობა გადაგვიხადეს ამ ვიზიტისთვის. ცენტრში დაბრუნებულები კი, ბებოებმა ჩაიზე და ტკბილეულზე მიგვიწვიეს. ვიმღერეთ, ვიცეკვეთ და ამაღლებული განწყობით დავბრუნდით სოფელში.

ისევე როგორც საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოება ზრუნავს და ორიენტირებულია ადამიანთა ნებისმიერი სახის დახმარებაზე – სიღარიბე, ძალადობა, მცდარი შეხედულებისაგან თავის დაღწევა და ა.შ., ჩვენი სკოლის დირექცია და მასწავლებლები არ გვაკლებენ აღმზრდელობით საუბრებს, რომ ვიყოთ ჰუმანურები, მიუკერძოებლები, გავცეთ შეძლებისდაგვარად მეტი მადლი და სიკეთე, ვასიამოვნოთ ჩვენ გვერდით მყოფ ადამიანებს. ვუერთდებით გამოთქმას: „სიკეთე გადამდებია!“...

ბაჩო რავზეგაშვილი
გავაზის საჯარო სკოლის
მოსწავლეთა თვითმმართველობის თავმჯდომარე,
XI კლასის მოსწავლე

ახალი ამბები

მოვუსმინოთ მასწავლებლებს

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის, მიხეილ ჩხენკელის ინიციატივით, დაიწყო პედაგოგებთან შეხვედრების ციკლი „მოვუსმინოთ მასწავლებლებს“. პირველი შეხვედრა მინისტრმა საქართველოს სკოლების იმ წარმატებულ პედაგოგებთან გამართა, რომლებიც მიმდინარე სასწავლო წელს გამორჩეულად აქტიურები იყვნენ, ზრუნავდნენ საკუთარ პროფესიულ განვითარებაზე და საკლასო ოთახში, მოსწავლეებთან მუშაობაში ხელშესახებ შედეგებს მიაღწიეს. მათ სურვილი გამოთქვეს გაუზიარონ მინისტრს გამოცდილება, ასევე ესაუბრონ სკოლის საჭიროებებზე, პრობლემებზე და ამ პრობლემების გადაჭრის გზების შესახებ რეკომენდაციები შესთავაზონ. ასეთი შეხვედრების მიზანი სწორედ ღია საუბარია თემებზე, რომელიც სწავლა-სწავლების ხარისხს, მოსწავლეებს შორის და სკოლებში ბულინგის საკითხების გადაჭრას ეხება.

მინისტრთან შეხვედრაზე მასწავლებლებმა აქცენტები გააკეთეს მასწავლებელთა პროფესიული განვითარების სქემაზე, დამამთავრებელ გამოცდებზე, სახელმძღვანელოებზე, მშობლებთან კომუნიკაციაზე და სხვა არაერთ მნიშვნელოვან თემაზე, რაც სასკოლო ცხოვრებას უკავშირდება.

მასწავლებლებთან დიალოგი გაგრძელდება, მინისტრი და სამინისტროს ყველა წარმომადგენელი მზად არიან მოუსმინონ თითოეულ პედაგოგს და გაიზიარონ მათი მოსაზრებები.

შეხვედრის მონაწილე პედაგოგებს გადაეცათ ლიტერატურა კლასის მართვის საკითხებზე, ასევე ბულინგთან და ძალადობასთან დაკავშირებული საინფორმაციო ფლაერები, რომელსაც უახლოეს დღეებში ყველა მასწავლებელი, მოსწავლე და მშობელი მიიღებს, რათა იყვნენ ინფორმირებული, რას ეხება ბულინგი, რა არის ძალადობა, როგორ იმოქმედონ ასეთ სიტუაციაში.

სასკოლო აქტივობა

დროული, საჭირო და სასარგებლო!

დღეს, როცა ადამიანი მთვარის ზედაპირიდან აღებული სინჯების ქიმიურ შემადგენლობასა და 10-11 კილომეტრის სიღრმეზე ოკეანის წყლის ქიმიურ შედგენილობას იკვლევს და არკვევს, თანამედროვე ტექნოლოგიების საშუალებით აურაცხელი ინფორმაციის მიღებაა შესაძლებელი, მაგრამ მოსწავლე ახალგაზრდობა წიგნის კითხვას დაშორდა.

ალბათ ამის გამო, განათლების სამინისტრომ დანიშნა, დამატებით, 20 თავისუფალი გაკვეთილი, რომელთაგან 2 გაკვეთილი 2017 წლის გაზაფხულზე ჩატარდა, ხოლო 18 გაკვეთილი – სექტემბრიდან 25 დეკემბრამდე. გაკვეთილები უნდა ჩატარებულიყო VIII-IX კლასებში. ჯგუფში, ნებაყოფლობის საფუძველზე, 11 მოსწავლე გაერთიანდა, მიმართულება – „წიგნიერება“. შევადგინეთ განრიგი, შევიძინეთ სათანადო ლიტერატურა. არა მარტო მეცადინეობაზე, გაკვეთილებს შორის შესვენებებზე და ლაშქრობებზეც კი ვმსჯელობდით წაკითხულზე, ვუსახელებდით და ვთავაზობდით საინტერესო წიგნებს, მოსწავლეთათვის უცნობ ნაწარმოებებს სათანადო რეკლამირებას ვუკეთებდით.

გარდა ჯგუფში გაერთიანებული მოსწავლეებისა, აქტიურობდნენ XII-კლასელები – **გიორგი** და **დანიელ ჭკადუები**, **ზვიკა ნიჟარაძე**, **მეგი გუგუჩია**. გიორგი ჭკადუამ წაიკითხა წიგნები, ლევან სანიკიძის „სამას-სამასი“, „მესამე დასი“ და იან დიმოვის „ქართველი ფალავნები“. იგი ჩვენი პროექტის ფოტოგრაფიც იყო.

ნამდვილად მნიშვნელოვანია თანამედროვე ტექნოლოგიური საშუალებების მიერ მოწოდებული ინფორმაცია, მაგრამ მოზარდი თაობის აღზრდაში შეუცვლელია წიგნის როლი. საინფორმაციო „ნიაღვარი“ იმდენად ძლიერია, რომ წიგნისადმი სიყვარული, რომელიც გასული საუკუნის 50-იან წლებში სუფევდა, ალბათ არასოდეს დაბრუნდება, მაგრამ თავისუფალმა გაკვეთილებმა ჩვენს სკოლაში უსათუოდ თავისი დადებითი სიტყვა თქვა.

აკაკი ზუმაძე
მესტიის რაიონის ხაიშის საჯარო სკოლა

სპორტი

18-წლამდელთა ჩემპიონატი

16 იანვარს სტარტი აიღო საქართველოს ჩემპიონატმა 18-წლამდელ კალათბურთელთა შორის. საქართველოს კალათბურთის ფედერაცია, სხვა გუნდური სათამაშო სახეობების მსგავსად, აქტიურად ატარებს ჩემპიონატებს ასაკობრივ ლიგებში და 18-წლამდელებიც ერთ-ერთი მათგანია.

წელს, ამ ლიგაში 14 კლუბი გამოდის, რომელთაგან 10 თბილისურია, 4 კი რეგიონებს წარმოადგენენ: რუსთავი, ქუთაისი, გორი და სოხუმი. დედაქალაქს ყველაზე ინტენსიურად ზაზა ფაჩულიას აკადემია წარმოადგენს, რომელიც 3 გუნდით იასპარეზებს, სხვები კი – ორბი, ჰიუნდაი, კალათბურთის აკადემია, იბერი, მართვე, თსუ და 16-წლამდელთა ნაკრებია. საინტერესოა, რომ წმინდა სპორტული სუბიექტების გარდა (აკადემიები, საკალათბურთო კლუბები), მონაწილეთა შორის, უმაღლესი სასწავლებლის გუნდიცაა – თსუ. რაც შეეხება 16-წლამდელთა ნაკრებს, ჩემპიონატში უკონკურსოდ, გამოცდილების მისაღებად გამოდის. ისინი თავიანთი სტარტებისთვის ემზადებიან, თაობათა ცვლის პროცესშიც არიან და უფროსებთან თამაში მართლაც დიდად წაადგებათ გამოცდილების დაგროვებაში.

ეს ნაკრები და რეგიონების გუნდები ჩემპიონატში მათივე სურვილის საფუძველზე დაუშვეს, თბილისის დანარჩენმა 9 კლუბმა კი საგზური დედაქალაქის პირველობაზე მოიპოვა.

გუნდები ერთ ქვეჯგუფში იქნებიან და, თავდაპირველად, რეგულარულ ჩემპიონატში ორ წრედ, მიმოსვლით ითამაშებენ. შესარჩევი ეტაპის შემდეგ გაირკვევა 8 მეოთხედფინალისტის ვინაობა, რომლებიც წყვილებში საუკეთესოს მხოლოდ ერთი შეხვედრით გამოავლენენ, მასპინძლის როლში კი ის გუნდი იქნება, რომელიც რეგულარულში უკეთეს ადგილზე გავა. ნახევარფინალური და ფინალური ორთაბრძოლები ორ-ორ მოგებამდე გაგრძელდება. პაექრობები თბილისში, სპორტის ოლიმპიურ სასახლეში (სპორტის ახალი სასახლე მაღლივთან), ჩატარდება, რეგიონების გუნდები კი საკუთარ არენებზე უმასპინძლებენ მეტოქეებს.

აფრასიძის ახალი სიმაღლე

ჩვენ უკვე ვწერდით ნიჭიერი ახალგაზრდა ქართველი მორაგბის – **გელა აფრასიძის** წარმატების შესახებ, რომელიც საფრანგეთის ტიტულოვანმა კლუბმა „მონპელიემ“ შეიძინა. „ლელო სარასენსის“ 19 წლის ჰავბეკი ევროპელი სელექციონერების თვალთახედვის არეში ზაფხულში, თბილისში გამართული მსოფლიო ახალგაზრდული პირველობის შემდეგ, მოექცა, მართლაც რომ დიდებული თამაშის დამსახურებით.

სხვებზე მეტად ფრანგებმა იყოჩაღეს და ქართველი ტალანტი ხელში ჩაიგდეს. მათ პომპეზურადაც წარადგინეს აფრასიძე, რომელმაც უკვე ეროვნულ ნაკრებშიც მოასწრო 3 შეხვედრის ჩატარება და ფრანგულ კლუბშიც ითამაშა შიდა ჩემპიონატში.

სხვათა შორის, აფრასიძე, მსოფლიო რაგბის მმართველი ორგანოს მიერ, წარდგენილი იყო საუკეთესო ლელოს ავტორის ნომინაციაზე, თუმცა მას არგენტინელმა **ხოაკინ ტუკულეტმა** აჯობა, რომელმაც საუკეთესოდ შეფასებული ლელო, ივნისის ტესტებზე, თვით ბრიტანეთს დაუდო.

ამ დღეებში აფრასიძემ კიდევ ერთი დიდი ნაბიჯი გადადგა საყოველთაო წარმატებისკენ: ჯერ იყო და „მონპელიემ“ ის ჩემპიონთა თასის, ანუ ტოპ-14-ის განაცხადში შეიყვანა, რომელიც კლუბს ინგლისის ჩემპიონ „ექსტერ ჩიფსთან“ უნდა გაემართა, მალევე კი სულაც აღნიშნული მატჩის ძირითად შემადგენლობაში დაასახელა, რაკიღა სხვა ჰავბეკები დაუშავდა.

აღნიშნული შეხვედრა უკვე შედგა და აფრასიძემაც დებიუტი მოიწყო ტოპ-14-ში. პირადად მას ურიგოდაც არ უთამაშია, თუმცა დებიუტი მაინც მარცხიანი გამოდგა, რადგან „მონპელიე“ დიდი ანგარიშით – 10:41 დამარცხდა. აფრასიძემ პირველ ტაიმში ლელო გამოიმუშავა, რომელიც **აარონ კრუდენმა** გაიტანა და ფრანგებს 3 ქულა შესძინა, ერთხელ მეტოქეს ბურთის დამიწების საშუალება არ მისცა და თავისიანები ლელოსგან იხსნა, ბურთი 3-ჯერ ხელითაც ატარა, 60 პასიც გააკეთა და მხოლოდ ორჯერ დაკარგა. მის ანგარიშზე 6 წარმატებული შებოჭვაცაა.

გორელთა წარმატება შამქირში

წინასაახალწლო დღეებში გორელმა ახალგაზრდა ძიუდოისტებმა წარმატებით იჭიდავეს აზერბაიჯანულ შამქირში გამართულ საერთაშორისო ტურნირზე, სადაც 4 მედალი მოიპოვეს: თითო ოქრო-ვერცხლი და 2 ბრინჯაო.

შამქირში **გურამ პაპიტაშვილის** სახელობის კომპლექსური საჭიდაო სკოლის გუნდი გამოდიოდა, **ანზორ თენაძის** ხელმძღვანელობით. ტურნირში კი, მათ გარდა, აზერბაიჯანის რამდენიმე გუნდი მონაწილეობდა ქვეყნის ლამის ყველა დიდი ქალაქიდან, ხოლო უცხოელთაგან – 2004-05 წლებში დაბადებული ნაკრებები რუსეთიდან, თურქეთიდან და ლიტვიდან.

ჩვენებურებმა ორი ფინალი იჭიდავეს, მათგან უფრო წარმატებით – ყველაზე პრესტიჟულ ყველაზე მძიმე წონაში, სადაც **არჩილ მამულაშვილი** კვლავაც მოწოდების სიმაღლეზე დადგა, გადამწყვეტი პაექრობაც მოიგო და ჩემპიონიც გახდა. მისგან განსხვავებით, ამ ერთადერთი პაექრობის მოგება დააკლდა **გიორგი მიქელაძეს** 66 კილოგრამში და, საბოლოოდ, ვერცხლის მედალს დასჯერდა. ბრინჯაოს მედლებს **ვალერი არჩუაძე** (42) და **ლუკა თურაზაშვილი** (60) დასჯერდნენ.

რუბრიკას უძღვება ირაკლი თავაძე

მასწავლებლის ბიბლიოთეკა

სასწავლო პროექტები
წიგნში მოცემული ნიმუშები დაეხმარება მასწავლებელს, გაეცნოს სხვადასხვა საგნებში შექმნილ სასწავლო პროექტებს. ახსნილია პროექტის სტრუქტურა და განერილია რეკომენდაციები, როგორ უნდა შეიქმნას თითოეული სტრუქტურული ერთეული. მასალის გამოყენებით, მას შეუძლია დაგეგმოს სასწავლო პროექტი ამა თუ იმ საგანში.

11 ლარი

ქართული I-VI კლასები
წიგნი შექმნილია მასწავლებლის პროფესიული სტანდარტის შესაბამისად და დაეხმარება I-VI კლასების მასწავლებლებს, წარმატებით ჩააბარონ საგნობრივი გამოცდა.

11 ლარი



პროფესიული უნარები
დამხმარე სახელმძღვანელო განკუთვნილია ყველა საგნის მასწავლებლისთვის

15 ლარი

მასწავლებლის სამუშაო რვეული

4 ლარი

ინტერაქტიური მეთოდების კრებული

6 ლარი

კათედრის გამგის პორტფოლიო

6 ლარი

მასწავლებლის კალენდარი



5.50 ლარი

ცნობარი დაწყებითის პედაგოგებისთვის

14 ლარი

ინოვაციური გაკვეთილები დაწყებით კლასებში

6.50 ლარი

მოვემზადოთ საატესტატო გამოცდებისთვის

კრებულში შესულია პროგრამით გათვალისწინებული თეორიული მასალა და ტესტები. გადასაფხეკი ფენის ქვეშ მოთავსებულია უნიკალური კოდი. ეს კოდი შეიყვანეთ სპეციალურ აპლიკაციაში, რომელიც განთავსებულია გამომცემლობის ოფიციალურ ფეისბუქგვერდზე fb.com/bakursulakauripublishing
ერთი კოდის გამოყენება შეუძლია მხოლოდ ერთ მომხმარებელს. ელექტრონული ტესტები შეიძლება ჩააბაროთ როგორც თემების მიხედვით, ასევე შერეულად.





თითო კრებულის ფასი – 10.90 ლ

ნამდვილი და მოგონილი ამბები

სერია შექმნილია I-VI კლასების მოსწავლეებისათვის, „კითხვის საათის“ სპეციფიკის გათვალისწინებით.

სერიის ფასი – 32.40₾

ქართული ენის კრებულები

ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული გრამატიკის თეორიული კურსი და სავარჯიშოები.

სერიის ფასი 17.70 ₾



12 ლარი

თამაზ ვასაძე
კომენტირებული ტექსტი და ანალიტიკური გზამკვლევი



4 ლარი

თამაზ ვასაძე
ქართული აგიოგრაფიული პროზა ლიტერატურის შემსწავლელთათვის

10 ლარი

თამარ ბეროზაშვილი
ქართული ენის სასკოლო განმარტებითი ლექსიკონი (ორტომეული)



10 ლარი

ფიზიკა
საატესტატო გამოცდისთვის
ქ. ტატიშვილი, ზ. ბერაია



6 ლარი

ბიოლოგია
ეროვნული გამოცდისთვის
ლ. ბურდილაძე, ნ. სიხარულიძე, ქ. მაღრაძე, დ. ნაზირიშვილი

ტესტები ქართულ ლიტერატურაში საატესტატო და ეროვნული გამოცდებისათვის

წიგნი I
V-XVIII საუკუნეების მწერლობა

წიგნი II
XIX საუკუნის მწერლობა

წიგნი III
XX საუკუნის მწერლობა

თითო ტომის ფასი 13 ლარი

ხელმოწერის თანხა გადმორიცხეთ რეკვიზიტებზე:

მიმღები – შპს „ახალი განათლება“,
ს/კ 202058735,
ა/ა GE93LB0113314052305000,
ს/ს „ლიბერთი ბანკი“,
ბ/კ LBRTGE22

შეძენის მსურველები დაგვიკავშირდით:
555 411 668, 599 88 00 73,
032 295 80 23

ახალი განათლება
მთავარი რედაქტორი: მარიკა ჩიქოვანი

მისამართი: თბილისი, აკ. წერეთლის გამზ. №126, სართული II, ოთახი №14
ტელ.: 032 295 80 23, 599 880073
www.axaliganatleba.ge axaliganatleba@gmail.com

რედაქციის საბანკო რეკვიზიტები: შპს „ახალი განათლება“
ს/კ 202058735, ა/ა GE86BG0000000123631000GEL, ს.ს. „საქართველოს ბანკი“ ბ/კ BAGAGE22,

რედაქციაში შემოსული ხელნაწერები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდებათ.

ISSN 2233-386X
9 772233 386008 >
ფასი – 1 ლარი 90 თეთრი